

„სხივის“

ამხ. გამოცემა.

წ 1860 4.

ეროვნული საკითხები

ივ. გომართელისა.



თ ფ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორავანი“ მაღათ. კუნძ. № 1.
1906





Экспозиция ызложена

нз. зменился

31203

„БЕЛЗОВЪ“
официальный
документы

№ 860 4.



тезисы

гл. к. б. № 1
1906

მრავალი საკითხი.



ყო დრო, როდესაც ყველას ძვალ-
რბილში ჰქონდა ის ჩწმენა გამჯდარი,
რომ ადამიანი უძველეს დროს უკვდავი
არსება იყო; გონებრივად, ზნეობრივად და ფიზი-
კურად ის უმწერვალესად იყო განვითარებული და
სამოთხის ნეტარებით სტკებოდა. დღეს კი ამგვა-
რი რწმენა მხოლოდ ბრიყვთა სამკაულია; მეცნი-
ერებამ სამუდამოთ გაჰფანტა ეს სისულელე, რო-
მელსაც დღესაც დაბეჯითებით ასწავლიან ჩვენს
ბავშვებს სკოლებში და რომელსაც დღესაც მოწი-
წებით უქადაგებს სამღვდელოება ხალხს. მეცნი-
ერებამ დიდი ხანია დამტკიცა, რომ არავითარი
ადამი და არაეითარი ევა არ ყოფილი არაეითარ
ედებში; მეცნიერებამ ახსნა, რომ უძველესი ადა-
მიანი თან-და-თან განვითარდა პირუტყვისაგან და
ამიტომ ის გონებით, ზნეობით, ფიზიკური არგა-
ნიზაციით და საზოგადოებრივი ცხოვრებით უმწვერ-
ვალესად კი არ იყო განვითარებული, არამედ გა-
ცილებით დაბლა იდგა დღევანდელ ადამიანზე,—
ისე დაბლა, რომ ჩვენ წარმოდგენაც კი არ შეგვი-
ძლიან. დღევანდელი ადამიანი მთელი თვეისი არგა-

ნიზაცით და ცხოვრებით ნაყოფია ხანგრძლივი განვითარებისა; ხანგრძლივი განვითარების ნაყოფია ამიტომ ყოველგვარი იდეია, როვორც კერძო — ინდივიდუალური, აგრეთვე საზოგადოებრივიც.

ეროვნული იდეია, ნაციონალიზმი, წარმო-ადგენს საზოგადოებრივ იდეიას. ნაციონალიზმი თანდაყოლილი, თანშობილი თვისება არ არის ადამიანის აზროვნებისა,—ის თან-და-თან განვი-თარდა საუკუნეთა განმავლობაში, სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სახე და სხვა და სხვა ლიტება ჰქონდა.

უძველესი ადამინი მოკლებული იყო ბუნე-ბასთან ბრძლის ყოველგვარ საშუალებას; სცხოვ-რობდა ხეებზე და გამოქვაბულებში და საზრდო-ობდა მით, რასაც თვით ბუნება აძლევდა მას, ე. ი. ხილით, ბალახის ძირებით და სხვა და სხვა მცენა-რეულობით. ყოველივე ამას ბუნება უხვად აძლევდა მას და ამიტომ ამ დროის ადამიანს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ხვალინდელ დღეზე, — შეუძლებელია მას ეზრუნა მომავლისათვის, შეუძლებელია ხვალისთვის შეენახა რამე. ასე სცხოვრობდა მაშინდელი ადამიანი: მთელი მისი არსება განსაზღვრული იყო არსებული დღით. თა-ვის-თავად ცხადია, რომ იმდროის ადამიანი ისეთ ალაგას სცხოვრებდა, საცა მთელი წლის განმავლო-ბაში თოვჭმის ერთგვარი ზომიერი ჰავა იყო და მცენარეული საზრდო მთელი წლის განმავლობაში

იშოვებოდა. ეჭეს გარეშეა, ამგვარმა ადამიანმა ლაპარაკი არ იცოდა და თავის სურვილებსა და გრძნობას იმგვარადვე გამოჰატავდა ხოლმე ყვირილით და გარეგნული ნიშნებით ანუ მიმიკით, როგორც დანარჩენი ცხოველები. ამგვარი ადამიანები სცხოვრობდენ ჯგუფებად, როგორც ბევრი გარეული ცხოველები; ამგვარი მდგომარეობა მოკლებულია სრულებით საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშანწყალს და დამყარებულია მხოლოდ პირუტყვულ ინსტიქტზე; საზოგადოებრივი ცხოვრება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო დამკიდებულება ადამიანთა შორის ანუ ურთიერთობა ემორჩილება ან ჩვეულებას, ან კანონის სანქციას. პირუტყვული ინსტიქტი, რომელიც აერთებდა მაშინდელ ადამიანებს, სხვა და სხვა გვარი იყო. უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა მშობლიურ ინსტიქტს და სქესებრივს. დედაშვილი ერთმანეთს არ ჰშორდებოდენ, სანამ შვილი ფიზიკურად არ დასრულდებოდა იმდენად მაინც, რომ საზრდოს მოპოვება შესძლებოდა; პირველ ხანებში მამა უეკველია მცირე ხანს რჩებოდა ამგვარ ოჯახში, მაგრამ დროთა განმავლობაში, რაც უფრო ვითარდებოდა ადამიანი, მშობლიური სიყვარული მით უფრო ვითარდებოდა მამა-კაცებშიაც. ამ სიყვარულის აღორძინებას და განვითარებას ხელი შეუწყო სქესობრივმა გრძნობამ და ორივემ ერთად იძულეს მამაკაცი, რომ ის უფრო დღდხანს გაჩერებულიყო

არჩეულ ქალთან და თავის შვილებთან, ვიდრე ამას
მოითხოვდა მხოლოდ სქესობრივი გრძნობის დაქმა-
ყოფილება; შემდეგ და შემდეგ განვითარდა სიყვა-
რული ერთი დედის შეილთა ანუ და-ძმებს შო-
რის, ამ სიყვარულმა შეაერთა ისინი; ამგვარად
აღორძინდა და განვითარდა აღამიანთა კავშირი და
შესდგა ამ კავშირის წყალობით ჯგუფი. ამგვარი
კავშირის ძირითად ოვისების შეადგენს შთამომავ-
ლობა, გვარულობა ანუ ნათესაობა. ამგვარი ჯგუ-
ფები თანდათან გაიზარდნენ და გაფართოვდნენ, მაგ-
რამ ნათესავურ კავშირს ისინი არა ჰკარგავდნენ.
გამრავლებას ის შედეგი უნდა მოჰყოლოდა, რომ
ბუნება ცველას ვეღარ აქმაყოფილებდა საზრდოთი
და ამიტომ ადრე თუ გვიან უნდა ბრძოლა ატეხი-
ლიყო სხვა და სხვა ნათესაობრივ ჯგუფთა შორის.
დამარცხებულთ უეჭველია უნდა დაეტოვებინათ თა-
ვიანთი აღგილები, და ამგვარ ბრძოლასა და სხვა
კუთხეზე გადასვლას ის შედეგი მოჰყვა, რომ ადა-
მიანმა ერთ მშვენიერ დღეს თავი ამოჰყო ისეთ
ალაგას, საცა ზაფხულს შემოდგომა მოსდევდა, შე-
მოდგომის ზამთარი. ეჭვს გარეშეა, ბევრი გაწყდე-
ბოდა, ბევრი დრო გაივლიდა, სანამ აღამიანი ამ-
გვარ ბუნებას შეეგუებოდა, ხოლო გადარჩებოდნენ
და შეეგუებოდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ინსტინქტი-
ურად შეიგნებოდნენ ხვალინდელ დღისათვის ზრუნვის
საჭიროებას. ძალას რომ საჭმელი მორჩება, მიწაში
ინახავს, მაშინდელი აღამიანი დღევანდელს ძალას

იმდენად მაინც სჯობდა უეჭველია, რომ მანაც შე-
ივნო საზრდოს შენახვის საჭიროება. ახალი ადგი-
ლების ბუნებამ თუ მუსრი გაავლო მაშინდელ ადა-
მიანებს, სამაგიროდ სარგებლობაც მოუტანა მათ,
რომ ადამიანი მიაჩვია ხვალისთვის ზრუნვას, და ამ-
გვარად იმის გონიერივად განვითარებასა და ამაღ-
ლებას ფართო კარი გაულო. მომავლისათვის ზრუნ-
ვამ და არსებობისათვის ბრძოლამ გამოაგონებინა
ადამიანს ცეცხლი, შვილდ-ისარი, ქვის იარაღი და
თიხის ჭურჭლის კეთება. ყველა ამ გამოგონებამ
სრულებით შესცვალა ადამიანის ცხოვრება: მან
ხელი მიჰყო ნადირობას, თევზის ჭერას, ისწავლა
ტანის შემოსვა; ხოლო ეჭვს გარეშეა, ამგვარი გან-
ვითარებისათვის საჭირო იყო ათასი წლები და არა
ერთი მშვენიერი დღე. ნადირობამ და ტანისამოსის
საჭირობამ მიაჩვია ადამიანი პირუტყვის მოშინაუ-
რებას და მოშენებას; ბევრი მეცნიერის აზრით
პირველი პირუტყვი, რომელიც ადამიანმა მოაში-
ნაურა, იყო ცხვარი; მისი მატყლით და ტყავით ადა-
მიანი ტანს იმოსავდა, ხორცით კი კუჭს იძლობდა. ქვითა
და შვილდ-ისრით შეიარაღებულ ადამიანს აღარ
ეშინოდა ძველებურად გარეული მხეცებისა, მათთან
საბრძოლველიად საჭირო იყო მხოლოდ შეერთება
და ამიტომ ერთი მხრით გარეულ მხეცებთან ბრ-
ძოლამ და მეორე მხრით ახალი ადგილების უშიშრად
ძებნამ გამოიწვია სხვა და სხვა საგვარეულო ჯგუ-
ფების შეერთება, დროებით მაინც. ამგვარ შეერთე-

ბას ხელი შეუწყო აგრეთვე, შემდეგმა გარემოებამ: რადგანაც პირუტყვის მოშინაურება ადამიანისათვის ფრიად სასარგებლო გამოდგა, ადამიანი დაეძალა ამ ხელობას და დროთა განმავლობაში თავი იჩინა ეკონომიკურმა უთანხმოებამ: ზოგმა მთელი ჯოგები გაიჩინა, სხვებმა კი ვერა. უთანასწორობამ გამოიწვია თავს დასხმა და ბრძოლა გვარეულობათა შორის; ყოველგვარი ბრძოლის დროს იმარჯვებს უფრო ღონიერი და მოხერხებული. რადგანაც მაშინ ყველა ერთნაირად იყო შეიარაღებული და მოხერხებით და გამოცდილებითაც ერთი მეორეს ვერ დასძლევდენ, ამიტომ ღონით ის იყო მეტი, ვინც რიცხვით იყო მეტი. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია რამდენიმე გვარეულობის შეერთება. ათას წლებსაც რომ გავლო ამგვარ ცხოვრებაში, ადამიანთა კავშირი გვარეულობის ნიადაგს ვერ გასცილდებოდა. გვარეულობა ანუ ნათესაობა დედა ბოძი ცყო მთელი მაშინდელი ცხოვრებისა. ამგვარ გვარეულობას ჰქონდა თუ არა რაიმე ეროვნული გრძნობა? რასაკვირელია არა. ნაცია მაშინ არ არსებობდა და შესაფერი იდებაც ვერ გაჩნდებოდა. როგორ აღორძინდა ენა ჩვენ არ ვიცით, ხოლო ენის აღორძინებამ ფრიად შეუწყო ხელი ცხოვრების განვითარებას და გვარეულობათა კავშირს. ერის საძირკველი ჩაიდგა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი მიეჩვია მიწის შემუშავებას. მიწის შემუშავებამ აღმოსავლეთში სხვანაირ გზაზე შეაყენა ადამიანის ცხო-

ერება, დასავლეთში, ანუ ევროპაში, სხვა გზაზე. აღ-
მოსავლეთში კველაზე უფრო ნაყოფიერი ადგილები
იყო დიდი მდინარეების დაყოლება. ამიტომ ხალ-
ხმაც აქ მოატანა. აღმოსავლეთში თანდათან აღორ-
ძინდა და განვითარდა კულტურული ცხოვრება დი-
დი მდინარეების სამზღვრებში. რადგანაც მიწის შე-
მუშავება ითხოვს რთულ და მეღვარ ბრძოლას ბუ-
ნებასთან, ამგვარმა ბრძოლამ გამოიწვია გვარეუ-
ლობათა შეერთება თემებად. ამგვარმა შეერთებამ
და ერთად მოქმედებამ ხელი შეუწყო მიწის განა-
ყოფიერებას და ხალხში თანდათან შეგროვდა სი-
მდიდრე. სიმდიდრემ მიიზიდა ის ველური გვარე-
ულობანი, რომლებიც მიწის შემუშავების ცოდნას
მოკლებული იყვნენ და ამგვარად ასტყდა ბრძოლა
ველურ გვარეულობათა და კულტურულ თემთა შო-
რის. ესეთ პირობებში კულტურულ თემთა ინტერე-
სი მოითხოვდა შეერთებას და ამგვარი შეერთება
ხდებოდა ყველგან, სადაც კი მიწის შემუშავების
ნიადაგზე კულტურული ცხოვრება აღორძინდა. ცხა-
დია, ამგვარი შეერთება უფრო ადვილია ერთ ენა-
ზე მოლაპარიკე თემებისათვის და ამიტომ საერთო
ენამ შესაფერისად მოაწყო თემთა შეერთება. თემების
შეერთებამ დროთა განმავლობაში შეჭმნა ერი. რა-
დგან თემები მუდამ გადარაჯებული უნდა ყოფი-
ლიყვნენ, რომ გარეშე მტერი თავს არ დასხმოდა,
ამგვარი გადარაჯება კი ხელს უშლიდა და ფრიად
აფერხებდა მიწის შემუშავებას, ამიტომ ადრე თუ

გვიან უნდა გაჩენილიყო სამხედრო შრომის განაწილება. ამგვარმა განაწალებამ კი დაჰყო ხალხი მიწის მუშებად და მეომრებმად, ანუ სამხედრო წოდებად. სამხედრო წოდება თეითონ არ მუშაობდა, ამას არჩენდნენ დანარჩენი მცხოვრებლები. ცხოვრების თანდა-თანმა განვითარებამ, ომებმა და პირადება სიმამაცე სამხედრო წოდება თან და თან დაანაწილა და ამგვარად გაჩდენ: მხედართ-მთავარი, სამხედრო არისტოკრატია და უბრძოლო ჯარის კაცები. მხედრობას ინახავდა ხალხი, ამისთვის ხალხი იხდიდა ნატურალურ ბეგარას. მხედრობა კი იცავდა ხალხს გარეშე მტრისაგან. ამგვარად შეერთებული თემების ინტერესი მოითხოვდა მხედრობის რჩენას, მხედრობის ინტერესი კი მოითხოვდა მათი მრჩენელი თემების დაფარვას. მთავარი და სამხედრო არისტოკრატია ამგვარად მოექცა ცხოვრების სათავეში და ომიანობის დროს ხალხისათვის ზრუნვა მათ მონოპოლიად გახდა. ამგვარად დაიბადა ეროვნული ინტერესების შეჯნება, ეროვნული იდეა, ანუ ნაციონალიზმი. ნაციონლიზმი აღორძინდა სამხედრო არისტოკრატიაში და ამიტომ ამ ნაციონალიზმს შეიძლება უწოდოთ არისტოკრატიული ნაციონალიზმი. რადგანაც სამხედრო არისტოკრატია და მთავარი ხშირად თავისუფალნი იყვნენ, თავისუფლება კი ხელს უწყობს ერთი მხრით ფუფუნებას, მეორე მხრით გონებრივი კითხვების აღორძინებას, ამიტომ მთავარმა და არისტოკრატიამ ხელი მიჰყვეს მდიდრულად

ცხოვრებას და დროს გატარებას. ამისათვის კი საჭირო იყო შესაფერი საშუალება. როდესაც ერთხელვე შემოღებული და ჩვეულებით განმტკიცებული ნატურალური გადასახადი მათვის საქარისი აღარ შეიქმნა, მათ თან და თან მოუმატეს და გაართელეს გადასახადები და დროთა განმავლობაში თან და თან ხელში ჩაიგდეს ხალხი და მძიმე ტვირთად დაწვენ კისერზე. მთავარი გადიქცა მეფედ და ბევრგან დესპოტიურ მეფედ, რომლის ნება გარდუვალი კანონი იყო ყველასათვის.

არისტოკრატიისათვის ეროვნული იდეა ფრიად ხელსაყრელი იყო და აი რატომ: როდესაც მტრის შემოსევას შედევად მოჰყვებოდა ხოლმე ადგილობრივი ერის დამარცხება, ადგილობრივი მეფისა და არისტოკრატიის ალაგს შემოსეული მტერი იჭერდა და დატყვევებულ არისტოკრატის ან მონებად იტოვებდა, ან შეუბრალებლად ხოცავდა. მიტომ ეროვნული ინტერესის დაცვა პნიშნავდა სამხედრო არისტოკრატიისათვის საკუთარი ინტერესის, საკუთარი არსებობის დაცვას. და თუ ომიანობის დროს ნაციონალიზმის სახელით ის თავგამოდებით იცავდა თავის თავს და თავის თავთან ერთად მოელ ერსაც, ამას იმიტომ კი არ სჩადიოდა, რომ მთელი ერისათვის გული შეტკილდა, არამედ იმიტომ, რომ ამას ითხოვდა საკუთარი სვებელი: ან თავგამოდებული დაცვა ეროვნებისა, ან სამარცხვინო სიკვდილი და მონაბა,— აი როგორი არჩევანი ედვა წინ ყვე-

ლი დროისა და ყოველი ერის სამხედრო არისტოკრატიას. რომელი გადარეული იქნება, რომ პირველი არ არჩიოს უკანასკნელს?! და არისტოკრატიაც თავგამეტებული იბრძოდა, ვაუკაცურად ჰლერიდა სისხლს ეროვნების, მამულის სიყვარულისა და სხვა პრტყელ-პრტყელი სახელით, ხოლო ყველა ამ პრტყელ სახელსა და გმირობას სარჩულად საკუთარი ინტერესებისა და მდგომარეობის დაცვა ედლა. თუ რამდენად ზრუნავდა ერისათვის სამხედრო არისტოკრატია, რამდენად უყვარდა მას თავისი ერი, ეს ცხადად სხანდა შშვიდობიანობის დროს: როდესაც გარეშე მტერი კარს აღარ არაკუნებდა და არისტოკრატია გულდაშვიდებული იყო, ის ჰყვლეთამდა და ტყავს აძრობდა ხალხს, როგორც კი შეეძლო. არისტოკრატიის თვალში ნაციონალური იდეი მთელი ერის კეთილდღეობას კი არ პირნავდა, არამედ მხოლოდ ეროვნულ დამოუკიდებლობას. არისტოკრატიული ნაციონალიზმის ერთად ერთი შინაარსი იყო ეროვნული დამოუკიდებლობა. ოლონდ ერი დამოუკიდებელი ყოფილიყო და თუნდა სულიც ამოქადენოდა ხალხს!

მერე ამგვარი დამოუკიდებულობა ვისთვის იყო ყველაზე უფრო საჭირო და სასარგებლო? ყველაზე უფრო არისტოკრატიისათვის. ეჭვს გარეშეა, ეროვნული დამოუკიდებლობა ხალხისათვის იყო სასარგებლო მცირეოდნად მაინც, რადგანაც დამარცხების დროს მას მონებად გაჰვიდიდენ ხოლმე, ხოლო მისი

საკუთარი მდგომარეობაც ეროვნულ დამოუკიდებლობაში დიდად არაფრად განირჩევოდა მონის მდგომარეობისაგან. მას ერთი ტყავი ჰქონდა როგორც ყველა ადამიანს, და ამ ერთ ტყავს ეროვნული მეფე და ორისტოკრატია გააძრობდა, თუ უცხო, თთქმის სულ ერთი იყო. ამიტომაც თვით ხალხი შრომის მძიმე უღელში იყო შებმული და ეროვნულ იდეისა სრულებით მოკლებული იყო. ყოველი მაშინდელი სახელმწიფო რამდენიმე თემისაგან შესდგებოდა. რა აკა შირებდა ერთმანერთში ამ თემებს აღნიშნულ ხანაში? ყოველი თემი ცხოვრობდა კარჩაკეტილათ, ე. ი. ყოველისფერს ცხოვრებისათვის საჭიროს თვითონ ამზადებდა საკუთარი ძალ-ლონით. თვითონ თემებში არ ყოფილა არაეითარი შინაგანი ძალა, რომელსაც შესძლებოდა მათი მჭიდროდ დაკავშირებდა. მათ აკა შირებდა ერთმანერთში, როგორც მოვიხსენიეთ, ბუნებასთან ბრძოლა და გარეშე მტერთან ბრძოლა, ხოლო ამ კავშირს აძლიერებდა და სიმტკიცეს აძლევდა მეფე და არისტოკრატია ანუ საერთოდ არისტოკრატიული მთავრობა. ყოველი თემი შეადგენდა მთლიან ერთეულს და სახელმწიფო წარმოადგენდა ამგვარი მთლიანი ერთეულების კრებულს. ამის მსგავს სურათს ხოლო უფრო სრულსა და განვითარებულს წარმოადგენდნენ ყველა ძველი სახელმწიფონი: ასურეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი და სხვ. იმ ალაგებში, საღაც მეფე და მთავრობა სცხოვრობდა, თავი მოი-

ყარა ფუფუნების ყოველ-გვარმა საშუალებამ. ამ ალაგებში თავი მოიყარა სამხედრო არისტოკრატიამ, ამ ალაგებშივე აღორძინდა და განვითარდა აღებ-მიცემობა. ეს ალაგები გადიქცენ ძველ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ქალაქებად და მაშინდელი ცხოვრების კულტურულ ცენტრად. ამ ქალაქებს ეტანებოდა ყველა ფუფუნების მოტრფიალე, აქეთ მოისწრაფოდნენ ფილოსოფოსნი და ყველა სწავლის შეძენისა და თავის გამოჩენის მოსურნენი, აქეთ ეშურებოდენ მაღა გაღვიძებული და გამდიდრების სურვილით გატაცებული ვაჭრები. ეროვნული სიმღიდორე როგორც ქონებრივი, ისე გონებრივი ამ ქალაქებში იყრიდა თავს, სამაგიეროდ ამ ქალაქებს ეტანებოდა უპირველესად გარეშე მტერიც. ამიტომ ამაგრებლნენ ამ ქალაქებს მიუვალი კედლებით. ამგვარი გამაგრება ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ხელოსნობის თავისუფლად განვითარებას. თუმცა ვაჭრობა, ვაჭრები და სავაჭრო კაპიტალი ის ძალაა, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული მთლიანობის განმტკიცებას, მაგრამ ძველ აღმოსავლეთში ვაჭრობამ ხელი შეუწყო მხოლოდ უძველესი ქალაქების აღორძინებასა და გაძლიერებას, ხოლო ეროვნულ მთლიანობას ბევრი ვერაფერი შესძინა: სოფლის ცხოვრება მან ვერ გარდაქმნა, თემის კარჩაკეტილობა მან ვერ შეანგრია და გლეხის ფსიხოლოგიაში ეროვნული იდეია ვერ შეიტანა; სოფელი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ქალაქი თავისი ცხოვრებით.

რადგანაც ევროპის ბუნება არ იყო იმდენად უხევი და მდიდარი, როგორც აღმოსავლეთისა, ამიტომ ცხოვრებაც აქ გაცილებით უფრო ნელი ნაბიჯით მიღიოდა წინ, ვიდრე აღმოსავლეთში. ევროპაშიაც სოფლის მცხოვრებლები დაყოფილი იყვნენ თემებად ანუ მარკებად, ყოველი მარკა სცხოვრებდა კარჩაკეტილად; მთავრობა და არისტოკრატია ცხოვრობდა ქალაქებში. ქალაქებში თან და თან ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა, რასაც ხელი უნდა შეეწყო ეროვნული იდეის განმტკიცებისათვის, მაგრამ ეროვნული იდეიის განმტკიცებას ხელს უშლიდენ ფეოდალები, რომლებიც ერთი ერთმანეთს ებრძოდენ, ქალაქებს თავს დაესხმებოდენ ხოლმე და ამგვარად თუ ვაჭრები და ხელოსნები აშენებდენ ეროვნების კედელს, სამაგიეროდ ამ კედელს ფეოდალები ანგრევდენ. ამ დროს ეროვნული იდეია ფეხს იკიდებდა მხოლოდ ხელოსნებისა და ვაჭრების წრეში. ხელოსნებმა ძალა მოიკრიბეს ევროპის ქალაქებში და შეადგინეს ჰამქრები. რადგანაც ქალაქის მართვა-გამგეობა არისტოკრატიის ხელში იყო და საერთოდ ქალაქი ფეოდალს ემორჩილებოდა, ფეოდალისა და არისტოკრატიის ინტერესი კი სულ სხვა იყო, ვიდრე ქალაქის ხელოსნებისა, ამიტომ ჰამქრები ებრძოდენ ფეოდალებსა და არისტოკრატიას, მათს თვითნებობას სპობდენ, ამით იცავდენ მთელი ერის კეთილდღობას და გზას უკაფავდენ ეროვნული იდეის აღორძინებას. რადგანაც ვაჭრებისა-

თვის დიდი მნიშვნელბა აქვს თემთა შორის მშეიღობი-
ანობას და კავშირს, ისინი ამიტომ მხარს აძლევდენ
ჰამქრებს და გარდა ამისა თავისი მისვლა-მოსვლით
თემებს ერთი მეორეს უკავშირებდენ; ამგვარად
ორსავე შემთხვევაში ვაჭრებიც ხელს უწყობდენ
ეროვნული იდეის განვითარებას. მარტო ჰამქრებისა
და ვაჭრების ამარა რომ დარჩენილიყო ევრობა, ეჭვს
გარეშე ეროვნული იდეია ფრთხებს ვერც აქ გაშ-
ლიდა, ხოლო საქმე სრულებით სხვანაირად დატრი-
ალდა, როცა ევროპაში თავი იჩინა ჯერ მსხვილმა
ვაჭრობამ და შემდეგ კაპიტალისტურმა წარმოებამ.

ევროპაში ვაჭრობა ნელ-ნელა აღორძინდა
იტალიაში; რაც უფრო რთულდება და ვითარდე-
ბა ცხოვრება, ვაჭრობაც უფრო იზრდება და ფა-
რთოვდება. რადგანაც ძველი აღმოსავლეთი სიმდი-
დრით და ცხოვრებით მაღლა იდგა ევროპაზე ამ
დროს, ამიტომ აღმოსავლეთის ვაჭრებმა ნელ-ნელა
კარი შემთავს ევროპაში იტალიიდან. აღმოსავლე-
თის საქონელმა მოხიბლა და მიიზიდა ევროპის არი-
სტოკრატია: ის დაეწაფა ხარბად ფუფუნებასა და
მდიდრულ ცხოვრებას, ამ გარემოებამ კი ევროპის
ვაჭრებს მაღა გაულვიდა და მათ მიაშურეს აღმოსა-
ვლეთს, რომ იქიდან მოტანილი საქონელი ერთი
ასად გაესაღებინათ ევროპაში და ამით მალე გამდიდ-
რებულიყვენ. გამდიდრების სურვილი იმდენად
ძლიერი იყო და იმედი იმდენად დიდი ყველა წრე-
ებში, რომ ერთი მხრით ამანაც გამოიწვია ჯვა-

როსანთა ომებით, ამბობს თავის წიგნში ნაციონალიზმის შესახებ კაუცკი. წარმოიდგინეთ იმ დროინდელი ევროპის ვაჭარი, რომელმაც მოიარა აღმოსავლეთი და აუსტრებელი საქონელი მოიტანა. სანამ მას ჰქონდა პატარა დუქანი, მისთვის სრულებით საკმარისი იყო პატარა ბაზარი; ასეთ პატარა ბაზარს წარმოადგენდა ის ქალაქი, რომელშიაც ის სცხოვრობდა, და ამიტომ თუ ეს ქალაქი საკმაოდ გამაგრებული იყო, ვაჭარიც სრულად ქმაყოფილი იყო. სულ სხვა პირობებში ჩავარდა ის, როცა აღმოსავლეთის წყალობით მსხვილ ვაჭრად გახდა. მისთვის ეხლა საჭირო შეიქნა ფართო ბაზარი, ერთი და ორი ქალაქი აღარ ქმარა; რაც უფრო მეტი რაიონი ეკავება მის ბაზარს, რაც უფრო მეტი თემები და ქალაქები იქნება მისთვის გახსნილი, მით უმჯობესია მისთვის. ამისათვის კი საჭირო შეიქნა თემებისა და ქალაქების შეერთება და ნელნელა ერთ სახელმწიფოთ გადაქცევა. სანამ თემებსა და ქალაქებს შორის ქიშპობა და მტრობაა, მსხვილი ვაჭრობა შეუძლებელია, და აი სწორედ ამიტომ ნაციონალური გაერთიანება აუცილებელ საჭიროებად შეიქნა მსხვილი ვაჭრებისათვის, ნაციონალიზმი გადიქცა მათ ლოზუნგად. ნაციონალური გაერთიანება და მძლავრ სახელმწიფოდ გადაქცევა სხვა მხრითაც იყო მსხვილი ვაჭრებისათვის აუცილებელი საჭირო. წარმოიდგინეთ მცირე ხანს,

რომ საქართველო დამოკიდებული სახელმწიფოა; კონსტანტინოპოლის ბაზარზე გამოვიდენ ქართველი ვაჭარი და გერმანელი; ამ უცხო ბაზარზე ვის უფრო მეტი ძალა და გავლენა ექნება, ქართველ ვაჭარს თუ გერმანელს? ცხადია, ძალა და გავლენა მეტი ექნება მას, ვინც უფრო ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელია. ქართველი ვაჭარი ათასი დაიხაგროს უცხო ბაზარზე, პატარა საქართველო დიდ ქომაგობას ვერ გაუწევს, ხოლო თუ გერმანელი ვაჭარი დაიხაგრა უცხო ბაზარზე, იმას ვილ-ჰელმი არასოდეს არ მოითხეს და ნაციონალიზმის სახელით ჯარსაც კი გაჰვინების, ვითომდა სამშობლოს სახელის დასაცველად. ამას გარდა ძლიერი სახელმწიფოები ყოველთვის უკეთესი სავაჭრო პირობებით ეკვრიან სხვა სახელმწიფოებს, ვიდრე სუსტი სახელმწიფოები. ახლა მიგმართოთ ეკროპის მსხვილ ვაჭრებს. ისინი ვაჭრობდენ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთიდან მოჰკონდათ მათ საქონელი; აღმოსავლეთში კი თავს იყრიდა სხვა და სხვა კუთხიდან ურიცხვი ვაჭრობა, რაც იწვევდა კონკურეციას.

ვინც ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო, მას მეტი საშუალება ჰქონდა გამარჯვებისა საერთო ბაზარზე და ამიტომაც ევროპის ვაჭრების პირდაპირ ინტერესებს შეადგენდა. ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა. ამგვარად ევროპა ნელ-ნელა დაიყო საშუალო საუკუნოებში სხვა და სხვა სახელმწიფოდ. საშუალო საუკუნეების ნა-

ციონალიზმი იყო ამგვარად ვაჭრული ნაციონალიზმი.

ამგვარი ნაციონლური გაერთიანება ხდებოდა მაღლიდან და გარედან. გლეხი კი ძველებურად კარჩაკეტილად სცხოვრებდა თავის თემებში და მარკებში. ცხოვრება ისევ ფეოდალური იყო; ხოლო როცა თანდათან გაიზარდა ვაჭრობა და შემდეგ ფეხი მოიკიდა კაპიტლისტურმა წარმოებამ, თემებისა და მარკების კარჩაკეტილობასაც ნიადაგი გამოეცალა. თემებში და მარკებში ყოველი გლეხის ოჯახი ამზადებდა ყოველისფერს მხოლოდ თავის-თვის და არა ბაზრისათვის, ბაზარზე საქონელი გამოჰქონდათ მხოლოდ ვაჭრებსა და ჰამჭრების ხელო სნებს. კაპიტალისტური მწარმოებელი კი საქონელს ამზადებს ბაზრისათვის და არა საკუთარი თავისთვის. კაპიტალისტური წარმოებისათვის საჭიროა კაპიტალი და მუშა ხელი. მუშა ხელს იძლეოდა მხოლოდ გლეხობა, რაღანაც სხვა და სხვა მიზეზების გამო, რომელთა განხილვასაც აქ არ გამოვუდგებით. მრავალი გლეხობა ევროპაში კაპიტალისტური წარმოების აღორძინების დროს უმიწაწყლოდ იყო დარჩენილი. მუშებად გადიქცნენ შემდეგ ბევრი წვრილი მწარმოებელი და ჰამჭრების ხელოსნები, რომლებმაც კაპიტალისტურ წარმოებას მეტოქეობა ვერ გაუწიეს. ამგვარად ძველი ფეოდალური კარჩაკეტილობის ინტეერესი მოითხოვდა ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას; ფეო-

დალური ურთიერთობის დარღვევა, თემების, მარკების და ჰამქრების ვიწრო სამზღვრების განგრევა და ეროვნული გაერთიანება, ეროვნული სახელმწიფოს შექმნა თვითონ მუშებისათვისაც საჭირო შეიქმნა. ამგვარად ბურუუზიულ ნაციონალიზმს გვერდში ამოუდგა და შეეთანხმა პირველი პროლეტარების ნაციონალიზმი.

აიღეთ ბატონყმური წყობილება. გლეხი მიკრულია, მიჯაჭულია მიწაზე და მას არ შეუძლია თავისუფლად, თვისი ნებით, ადგილის გამოცვლა; მუშისათვის კი ეს აუცილებელ პირობას შეადგენს. დღეს კაპიტალისტურ წარმოებაში უმთავრეს როლს მანქანა თამაშობს, მუშა მხოლოდ დამატებაა, ნაწილია მანქანისა. კაპიტალისტური წარმოების პირველ ხანებში კი, როცა რთული მანქანები და დღევანდელი განვითარებული მექანიკა არ არსებობდა, უმთავრეს როლს მუშა ხელი თამაშობდა; მუშას ფასი ჰქონდა და ამიტომ გალატაკებული გლეხი თავის ხსნას და თავის მხსნელს კაპიტალისტურ წარმოებაში და კაპიტალისტში ხედავდა. მუშა კი შებორკილი იყო ბატონყმური ურთიერთობით; ის ბატონის მიწაზე იყო დაბმული; ამიტომ მუშის პირდაპირი საჭიროება მოითხოვდა ძველი ურთიერთობის დანგრევას და ახალი ნაციონალურ-ბურუუზიული სახელმწიფოს შედგენას. ამგვარად კაპიტალისტურმა წარმოებამ წარმოშობა ბურუუზიული და პროლეტარიული ნაციონალიზმი; ორი-

ვე აღმოცენდა ერთსა და იმავე ნიადაგზე, ორი-
ვეს წყურვილი და მისწრაფება პირველად ერთი და
იგივე იყო. ცხოვრება თან და თან შეიცვალა, კა-
პიტალიზმში და მოაწყო ისე, როგორც ეს საჭირო
იყო და სასარგებლობურებისათვის. მაშინ ცხა-
დად გამოაშკარავდა, თუ რა უფსკრული იყო პრო-
ლეტარიატსა და ბურჟუაზიას შეა, თუ რა სხვა და
სხვა იყო მათი მიზანი და მათი გზა. ამიტომ პრო-
ლეტარიატი ჩამოშორდა ბურჟუაზიას, მათ შორის
პირბადე ახდილი მტრობა და ბრძოლა დამყარდა
და პროლეტარული შეგნება ეროვნული კითხვისა
სრულებით დაშორდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს.
როგორი იყო კაპიტალისტური წარმოება და ძვე-
ლებური თან და თან ზრდა ნაციონალიზმისა? თე-
მების კარჩაკეტილობა ერთად ყოვლად მოუთავსე-
ბელი იყო. კაპიტალისტური წარმოება ამზადებს
საქონელს ბაზრისათვის. ამიტომ მისთვის საჭიროა
ბაზარი; ბაზრის საჭიროება კი აუცილებლად მო-
ითხოვს თემების გაერთიანებას და ერთ სახელმწი-
ფოდ გადაქცევას. კაპიტალისტური წარმოებისთვის
საჭიროა თავისუფალი მუშა ხელი. თემები და მა-
ზედ დამყარებული ფეოდალური ურთიერთობა მუ-
შის თავისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ, ამიტომ
კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის სა-
ჭირო შეიქნა ამ ურთიერთობის დარღვევა. ამგვა-
რად კაპიტალისტურმა წარმოებამ შექმნა დღევანდვ-
ლი ეროვნული სახელმწიფო. კერძო თემების შე-

ერთებას სარჩულად დაედვა ადგილის გეოგრაფიული მდგრამარეობა და ენა. ენა და იდგილის შესაფერი მდგრამარეობა ორი უმთავრესი საშუალებაა ერთმანეთ შორის ურთიერთობისა; შეერთება კაპიტალისტურ წარმოების პირველ ხანაში შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ თემებს შორის, რომლებიც მიუვალი მთებითა და მდინარეებით არ იყვენ ერთი მეორისაგან დაყოფილი და რომლებსაც საერთო ენა ჰქონდათ. თუ კი ერთი თემიდან მეორეში გადასვლა ფრიად საძნელო იყო და ამ ორ თემს ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, აქ შეერთება ფრიად ძნელი იყო. /.

ამგვარად კაპიტალისტურმა წარმოებამ თავის პირველ ხანაში წარმოვშობა შესაფერი ნაციონალური იდეია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ბურჯუაზიული ნაციონალიზმის პირველი საფეხური. ნაციონალური სახელმწიფოს შექმნით კაპიტალისტურმა წარმოებამ მოიპოვა საშინაო ბაზარი. რაღაც მაშინ კაპიტალისტური წარმოება ხელოსნური იყო და მანქანები არა ყოფილა მოვონებული და გავრცელებული, ისეთი უსაზღვრო განვითარება, როგორც დღეს არის, მაშინ შეუძლებელი იყო, და შინაური ბაზარი სრულებით აკმაყოფილებდა კაპიტალისტურ წარმოებას. მაგრამ ახალ-ახალმა ტეხნიკურმა გამოვინებამ წარმოება ძირი-ანად შესცვალა და მთელი ეკრობა უზარმაზარ ქარხნად გადააჭირა. წარმოება სწრაფად გაიზარდა,

ბაზარი საქონელით აიგსო. შინაური ბაზარი, შინაური მოთხოვნილება ვეღარ გასწვდა ნაციონალურ წარმოებას, საჭირო შეიქნა ბაზრის გაფართოვება. როგორ და რა გზით უნდა გაფართოვებულიყო ბაზარი? პირველი შეხედვით ბაზარის გაფართოვება ადვილია: თუ კი შინაური წარმოებისათვის ეროვნული ბაზარი არა კარა, მწარმოებელს შეუძლიან თავისი საქონელი გაგზავნოს სხვა სახელმწიფოში, — მორჩია და გათვვდა! მაგრამ საქმეც იმაშია, ენ შეუშვებს მის საქონელს სხვა სახელმწიფოში? როდესაც შინაური ბაზარი საკმარისია სუსტი ნაციონალური წარმოებისათვის, აუცილებლად საჭიროა, რომ ამ ხანაში არანაციონალური საქონელი ანუ სხვა სახელმწიფოს ნაწარმოები შინაურ ბაზარზე არ გაჩნდეს. ამას მოითხოვ ბურჟუაზიის ინტერესი. თუ უცხო საქონელი ბურჟუაზიამ თავის ბაზარზე შეუშვა, მაშინ შინაურ საქონელს სამი მიზეზისა გამო ფასი ეკარება; პირველი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის რიცხვი მატულობს, მეტოქეობა იბადება და შინაური ბურჟუაზია იძულებული ხდება, თავისი საქონელი გაიიქოს; მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადვილი შესაძლებელია, უცხო საქონელი შინაურზე უკეთესი გამოდგეს ღირსებით და მით შინაურ საქონელს ფასი დაუკარგოს; მესამე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია უცხო მწარმოებელს თავისი წარმოება უფრო იაფად უჯდებოდეს, ვიდრე შინაურს, —

მაშინ ის თავის საქონელს უფრო იაფად გაჰყიდის და ამით შინაური მწარმოებელიც იძულებული იქნება საქონელი გააიაფოს და ამგვარად ან იზარალოს, ან ნაკლებ მოგებას დასჯერდეს. სამსავე შემთხვევაში შინაური მწარმოებელი ზარალობს და ამიტომ ნაციონალურ კეთილდღეობის, ერის ინტერესის სახელით ბურჟუაზია ცდილობდა, შინაური წარმოებისათვის ბაჟის მიუვალი კედლები შამოერტყა გარშემო, რომ უცხო საქონელს იქ ვერ შემოეყო ცხვირი. სანამ შინაური ბაზარი ბურჟუაზის პყოფნიდა, ბაჟებით შეიარაღებული ის არხეინად იყო: საქონელს შინვე ასალებდა გვარიან ფასში და ფულს ჯიბეში იჩხრიალებდა! მაგრამ აი, შინაური ბაზარი ველარ გასწვდა იმის მაღას, საქონელი შინაურ მუშტარზე მეტი აღმოჩნდა, სხვაგან კი მის საქონელს არავინ იღებს, ისე როგორც ის არ უშვებდა თავის ბაზარზე სხვის საქონელს. ამიტომ საჭირო შეიქნა ბაზრის მოპოება იარაღით. ამ დღიდან იწყება ბურჟუაზიული ომები ახალ-ახალი ბაზრების შესაძენად. ეროვნული ინტერესების სახელით ბურჟუაზია იწყებს ბრძოლას და სხვა და სხვა ერების დამორჩილებას; ეს არის მეორე საფეხური ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა. ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმა ამ დღიდან იწყო საშინელი და საზითლარი სისხლის ღვრა, ეროვნებათა დევნა და შევიწროება; ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმა შეაირალა მთელი ეკროა და შექმნა ყველგან საშინევ-

ლი მიღიტარიზმი. სხვა და სხვა სახელმწიფოს ბურუუაზის ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგება: რაც უფრო დაეცემა ერთი, მით უფრო უსქელდება მეორეს ჯიბეები. ბურუუაზიულმა ნაციონალიზმა ერთმანეთს გადაჭიდა ევროპის ერები, ისინი მგლებივით შესჩერებიან ერთმანეთს, ერთი მეორეს ულრენენ და თან უცინიან, — ამას ჰქვიან ბურუუაზიული დიპლომატია! რამდენათაც კი შესაძლებელი იყო, ევროპის სახელმწიფოებმა მთელი დედამიწა დაინაწილეს; ახალი ამერიკა აწ აღარ ამოჩნდება დედამიწის ზურგზე, ამიტომ ბაზრის გაფართოვებამ თავის უკანასკნელ სამზღვარს მიაღწია. ბრძოლითა და სისხლის ლვრით კიდევ გააფართოებდა ზოგიერთი სახელმწიფო თავის ბაზარს, მაგრამ საქმე აქ ერთ გარემოებაშია. ევროპის ბურუუაზის ინტერესები ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ევროპის ერების ეკონომიური ინტერესები კი თან და თან ერთი მეორეს უკავშირდებიან; წარმოების განვითარებამ მარტო შინ კი არ გამოიწვია შრომის უკიდურესი განაწილება, არამედ სახელმწიფოებს შორისაც: ერთი სახელმწიფო უფრო ერთ რომელიმე დარგს მისდევს წარმოებისას, მეორე მეორეს, მესამე მესამეს და ამგვარად ეკონომიურად ისე დაუკავშირდნენ ევროპის სახელმწიფოები ერთი მეორეს, რომ ერთმანერთს უგზავნიან თუ საქონელს, თუ მასალას წარმოებისათვის და ამიტომ უერთმანერთოთ მათ წარმოება და ეკონომიური ცხოვრება

არ შეუძლიანთ; კრიზისი წარმოებისა ერთ სახელმწიფოში იწვევს კრიზისს წარმოებისას მეორე სახელმწიფოში; ომი ორ სახელმწიფოს შორის აფერხებს წარმოებას დანარჩენ სახელმწიფოებშიაც და აი სწორედ აქ არის დამარხული ბურუუაზიული წყობილების და ბურუუაზიული ნაციონალიზმის ერთი დიდი უთანხმოება, უკვდავი კბილის ჭა: ბურუუაზიული ნაციონალიზმი თხოულობს ბრძოლას ერთაშორის ბაზრის გასაფაროოვებლად, სხვა და სხვა ერთა ეკონომიური ინტერესი კი ითხოვს მშეიღლობიანობასა და ერთა სოლიდარობას. ბურუუაზიამ თუ ომებს თავი დაანება, რა უყოს თავის საქონელს, რომელიც დღითი დღე მეტ ბაზარს თხოულობს? თუ ომები დაიწყო, ამით საეჭვო ბაზრის მოპოების მოლოდინში შეიძლება სულ გაიკოტროს თავი. ერთი სიტყვით ბურუუაზია ორ ცეცხლის შუა არის ჩავარდნილი. სულ სხვა მდგომარეობაშია პროლეტარიატი, ყველა სახელმწიფოს, მთელი დედა მიწის პროლეტართა ინტერესი ყველგან ერთია. მაშინ, როდესაც სხვა და სხვა ერების ბურუუაზიის ინტერესთა შორის სრული წინააღმდეგობაა, სხვა და სხვა ერთა პროლეტარიატს შორის ინტერესთა სრული სოლიდარობაა. რაც უფრო კარგ მდგომარეობაში იქნება ერთი სიხელმწიფოს პროლეტარიატი, ამით მეორე სახელმწიფოს პროლეტარიატს თუ რამე შეეძინება, თორემ დაკლებით არაფერი დააკლდება. სხვა და სხვა ერთა ბურუუაზიის ინტერესები თუ მტრობასა

და შუღლს პბალავენ ერთა შორის, პროლეტართა ინტერესები პირიქით ყველგან შეერთებასა და ამ-ხანაგობას ითხოვენ. სხვა და სხვა ეროვნებათა ბუ-რჟუაზია თოფზარბაზნებით უგზავნის ერთმანეთს სა-ლამს, პროლეტარები კი განურჩევლად ეროვნებისა ძმურად უწვდიან ერთმანეთს ხელს. თუ ბურჟუაზი-ული ნაციონალიზმი ცეცხლს უნთებს ეროვნულ ანტაგონიზმს და გაძახის: დაპა და გაანადგურე ის ერი, რომელსაც მოერევიო, პროლეტარული ნაციონალიზმი ნიაღაგს უმზადებს ერთა სოლიდა-რობას და პქაღაქებს: პროლეტარებო ყველა ქვე-ყნისა შეერთდითო. ამგვარად თუ ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმა მოელი ევროპა რამდენიმე ერო-ვნულ სახელმწიფოდ დაპყო და ერთი ერთმანეთს დაუპირდაპირა და გადაამტერა ეს სახელმწიფოები, პროლეტარული ნაციონალიზმი ნელნელა ანგრევს და სპობს ამ ნაციონალურ სამზღვრებს და მთელ კაცობრიობას აერთიანებს. რას პნიშნავს ეს გაერთია-ნება? ეროვნებათა მოსპობას? სრულიადაც ორა. ო-უნდა პროლეტარიატს? ეროვნებათა მოსპობა? სრუ-ლიადაც ორა. „ყოველი პოლიტიკა ერის სამტროდ მიმართული პროლეტარიატის მიერ თავისივე ხელით ყელის გამოჭრა იქნებოდა, ამ კლასის არც ერთ წევრს აზრადაც არ შოუვა ამგვარი პოლიტიკის მხარის დაჭრა“ ამბობს კაუცკი თავის „ნაციონალი-ზმის“ ბოლოში.

მაშ რა არის და რას ნიშნავს კომუნისტური

მანიფესტის სიტყვები: მუშა ხალხს არა აქვს სა-
შობლოვ? ეს სიტყვები მხოლოდ იმას ნიშნავენ,
რომ მუშა ხალხს სამშობლო და სამშობლოს ინტე-
რესები სულ სხვანაირად ესმის ვიდრე ბურუუზიას.
ეს სიტყვები მხოლოდ იმას ნიშნავენ, რომ ის ერო-
ვნული სახელმწიფო, რომელიც დღეს ბურუუზიას
თავის სამშობლოდ მიაჩნია, პროლეტარიატისათვის
დედინაცვალია და ამიტომ პროლეტარიატი უნდა
გადიქცეს მანიფესტისავე სიტყვით ნამდვილ ერო-
ვნულ კლასად, რომ შექმნას თავისი საკუთარი სა-
შობლო. მანიფესტის სიტყვებით პროლეტარიატის
ბატონობა ეროვნებას კი არ მოჰსპობს, არამედ მტრო-
ბას გააუქმებს ერთა შორის, ერთი ერისაგან მე-
ორის ექსპლოატაციას და დაჩაგვრას მოსპობს და
ერთა შორის სრულს მეგობრობას და სოლიდარო-
ბას დაამყარებს. რადგანაც მუშა ხალხის ძლევამო-
სილი მსვლელობა ჰსპობს მტრობას და ექსპლო-
ატაციას ერთა შორის, ამიტომ თავის თავად ცხა-
დია, რომ მუშა ხალხი მტერი უნდა იყოს ერთი
ერისაგან მეორის დაპყრობა-დამონებისა, და დღე-
ვანდელს პირობებში, როცა დამონებული ერი ყო-
ველ მხრივ იჩაგრება, პრინციპიალურად მომხრე
უნდა იყოს ყველა ეროვნებათა სრული დამოუკი-
დებლობისა. პროლეტარიატის ძლევამოსილმა
მსვლელობამ თავისუფლება უნდა მიანიჭოს ყველა
ეროვნებას, რომლებიც კი არის ტოკრატიულმა
და ბურუუზიულმა ნაციონალიზმა დაიმონავა. ბუ-

რუუზია ის უმცირესობაა, რომელიც იმონავებს არა თუ თავისი ერის უმრავლესობას, არამედ სხვა ერებსაც. პროლეტარიატი კი ერთად ერთი კლასია, რომელმაც უნდა გაანთავისუფლოს ყოველი ერის უმრავლესობა ბურჟუაზიის ბატონობისაგან და ყოველი დაპყრობილი ერი გაბატონებული ბურჟუაზიის მონაბისაგან; პროლეტარიატმა უნდა მოჰსპოს შინ კლასთა ბრძოლა და გარეთ ერთა ბრძოლა, პროლეტარიატმა უნდა ალაგმოს შინა და გარეთ ყველას მყვლეფელი ბურჟუაზია. დამოუკიდებლობა პიროვნებისა, თავისუფლება ყოველი ეროვნებისა, საზოგადოებაში სრული თანასწორობა, როგორც პოლიტიკური ისე სოციალური, — სრული თანასწორობა, სოლიდარობა და კავშირი ერთა შორის, — ამ პროლეტარული შეხედულობა ეროვნულ კითხვაზე.

ჩვენ — ქართგვლი სოციალდემოკრატები — ეროვნებას კი არ ესპობთ, როგორც მოწინააღმდეგები გვიკიუინებენ, ეროვნებას ჩვენი არისტოკრატია სპობდა და მუსრს ავლებდა, ეროვნებას ჩვენი ბურჟუაზია გაავლებს მუსრს, თუ რომ ბედმა ის გააძლიერა. ჩვენ ვიცავთ და ვემხრობით როგორც ჩვენი ერის, ისე ყველა ეროვნებათა გაყვლეფილი და ლატაკი უმრავლესობის ინტერესს, ამიტომ ეროვნული კითხვაც ჩვენებურად გვესმის და უარვყოფთ ყოველივე იმას, რაც ეროვნების სახელით მხოლოდ ერის შემავიწროებელი და დამჩაგვრელია; ჩვენ ვეწომს მხოლოდ ყველა ერების საერთო ინტერესი, და არა

მარტო ჩვენი ერის, ჩვენ ყოველი ერის უმრავლე-
სობის ინტერესი მიგვაჩნია ჩვენივე ერის უმრავლე-
სობის ინტერესად და ამიტომ ერთობას და სოლი-
დარობას ვქადაგობთ იქ, საცა სხვები ეროვნების
სახელით მტრობასა და კარჩაკეტილობას სთესავენ.
როგორც უკვე დავინახეთ, ისტორიულმა განვითა-
რებამ წამოაყენა არისტოკრატიული ნაციონალიზმი,
ვაჭრული ნაციონალიზმი, ბურჟუაზიული ნაციო-
ნალიზმი და პროლეტარული ნაციონალიზმი. პრო-
ლეტარული ნაციონალიზმი ჩვენი დროის შეხედუ-
ლებაა; რამდენათაც მეტ ძალასა და უფლებებს
მოიხვევავს პროლეტარიატი, იმდენად უფრო და-
ამარცხებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს პროლეტა-
რული ნაციონალიზმი. თუ რაში გამოიხატება პრო-
ლეტარული ნაციონალიზმი და როგორია ის, ეს
უკვე დავინახეთ. პროლეტარული ნაციონალიზმი
არაფერში არ წააგავს იმ ნაციონალიზმს, რომელ-
საც საზოგადოდ გულისხმობენ ხოლმე ამ მცნებაში.
მაშინ როდესაც პროლეტარული ნაციონალიზმი
იცავს ერის უმრავლესობის ინტერესს, ერთნაირად
ესარჩება ყველა ეროვნების უმრავლესობას და მის
დროშაზე ეროვნული სამზღვრების მაგიერ მთელი
კაცობრიობა აწერია, სულ სხვა იყო არისტოკრა-
ტიული ნაციონალიზმი, სულ სხვა ბურჟუაზიული
ნაციონალიზმი, რომელთა დროშაზე აწერია: გაუ-
მარჯოს ჩემს არისტოკრატიას და ბურჟუაზიას, ძირს
ზალხის უმრავლესობა, ძირს ყველა დანარჩენი ერო-

ვნებაო. არისტოკრატიულმა ნაციონალიზმა ის სამ-
სახური გაუწია ეროვნებას, რომ მან ერთ ენაზე
მოლაპარიკე თემები გარეგნულად შეაერთა და ამით
ისინი გარეშე მტრების ხელით ამოქლეტას გადა-
არჩინა. ხოლო თუ არისტოკრატიული ნაციონალი-
ზმი ეროვნებას იფარავდა, რაც მის ღვაწლს შეადგენს,
სამაგიეროდ არისტოკრატიული ნაციონალიზმი მშვე-
ნიერად ურიგდებოდა ერის უმრავლესობის გაყვლე-
ფას. არისტოკრატიულმა ნაციონალიზმა გამოიწვია
ეროვნებათა გადამტერება და ერთი ერისაგან მეორის
დამონავება; არისტოკრატიულმა ნაციონალიზმა შე-
ჰქმნა მონობა და ბატონობა.

მჭიდრო ერთობა რომ ჩამოეგდო არისტოკრა-
ტიულ ნაციონალიზმს ერთ ენაზე მოლაპარიკე თემ-
თა შორის, ეს იქნებოდა დიდი სამსახური კაცო-
ბრიობის წინაშე, მაგრამ არისტოკრატიულმა ნაციო-
ნალიზმა ესეც ვერ შესძლო, მან მხოლოდ ხელო-
ვნურად ძლიერი პოლიტიკური ცენტრალიზმის წყა-
ლობით გარეგნულად შეჰქმნა ეროვნული ერთობა,
შიგნით კი ერთობა სრულებით არ არსებობდა; ამი-
ტომ იქ საცა არისტოკრატიულმა ნაციონალიზმა
ეროვნული სამეფო შეჰქმნა, სამეფოს სათავეში მო-
ექცა დესპოტიზმი ან განუსაზღვრელი, თვითმპურო-
ბელი მთავრობა; მხოლოდ ესეთ მთავრობას შე-
ეძლო იმგვარი ნაწილების ხელოვნურად შეერთება,
რომელთა შორისაც უინაური ბუნებრივი კავშირი
არ არსებობდა. სხვა და სხვა თემთა შორის კავშირი

მაშინ მყარდება, როდესაც ეკონომიურად ისინი ერთმანეთისათვის საჭირონი ხდებიან, როდესაც ვაჭრობა მრეწველობის აღორძინებით მათი კარჩაკეტილი ცხოვრება ისპობა. ხოლო ესეთი ეკონომიური დაკავშირება და ეროვნული გაერთიანება ეკონომიურ ნიადაგზე აუცილებლად ითხოვს დესპოტიური და თვითმპურობელი მთავრობის მოსპობას, რის სურათსაც იძლევა დღევანდელი ეპროპა. როდესაც ძველ არისტოკრატიულ სამეფოებში ვაჭრობა აღორძინდა და სიმდიდრე დატრიალდა, სიმდიდრი!ა და ფუფუნების წყურვილმა აამხედრა ერთი ერის არისტოკრატია მეორე ერზე და ამგვარად ასტყდა სისხლის ლვრა, მტრობა და შური ერთა შორის.

ეროვნული კეთილდღეობის, ეროვნული ინტერესების სახელით იჩაგრებოდა ერთი ერისაგან მეორე ერი, აუარებლად და მხეცურად იღვროდა ხალხის სისხლი. ეს ჩაიდინა არისტოკრატიულმანაციონალიზმა. ეროვნული მტრობა და სისხლის ლვრა საშინალად განვითარდა გაშინ, როდესაც არისტოკრატია მიხედა, რომ უეიძლება დამარცხებული მტერი იმის მაგიერ რომ მოჰკლა ან შესჭამო, ცოცხალ ნივთათ გახადო, მონად აქციო, შენ მხართებოზე წამოწვევ და ის კი ამუშაო. მონების შექენა ორნაირი სიმდიდრე იყო: რაც საჭირო იყო სახლში დაიტოვებდნენ, რაც საჭირო არ იყო, სხვაგან ჰყილიდენ; ამიტომ ეროვნული ინტერესების

სახელით ერთი მეორეზე ამხედრდა სხვა და სხვა
ერთა არისტოკრატია და ერის კეთილდღეობის
სახელით დამარცხებულებს მონებად ჰქონდა. თუ
რამდენად ძლიერი იყო ამ დროს დაპყრობის, და-
მონების სურვილი, ერთა დაჩაგვრა, ეროვნული
ინტერესების სახელით, ამას საუცხოვოდ ჰმოწმო-
ბენ უდიდესი სახელმწიფოები, რომლებიც ძევლმა
ისტორიაშ უკეთესობაში. როდესაც სხვა და სხვა პირო-
ბებისა გამო არისტოკრატიისათვის უფრო სასარ-
გებლო გამოდგა მონების დათხოვნა და მათს ნაცვ-
ლიად ყმის ოფლით თავის რჩენა, მონობის ნაცვლად
ნელა-ნელა დამყარდა ბატონ-ყმური ურთიერთობა.
არისტოკრატიულმა ნაციონალიზმა აქ უფრო გა-
მოააშკარავა თავის ნამდვილი და საზიზღარი სახე.
ბატონყმურ წყობილებაში არისტოკრატიამ ცხადათ
დაამტკიცა, რომ მას თავისი საკუთარი ინტერე-
სები გამოჰქონდა ეროვნული ინტერესების სახე-
ლით: ერთი და იმავე ეროვნების არისტოკრატია,
ერთი და იმავე ეროვნების ფეოდალები თავი-
სივე ხალხის სისხლს ღვრიდენ; ძმებს ძმებზედ
უსევდნენ თავისი საკუთარი ინტერესების დასაცვე-
ლიად. ამგვარმა შინაურმა სისხლის ღვრამ ცხადად
დაამტკიცა, რომ ეროვნული სახელმწიფო ხელო-
ვნურად იყო უკეთესობა, რომ ერის სხვა და სხვა
ნაწილები ეროვნულ უკეთესობის მოკლებულნი იყვნენ
სრულებით. არისტოკრატიულმა ნაციონალიზმა

არა თუ ვერსად ვერ შესძლო ეროვნული თვით-
ცნობიერების გაღვიძება, პირიქით ის ყველგან
ახშობდა ეროვნულ თვითცნობიერებას. ეროვნუ-
ლი თვითცნობიერების გაღვიძება შეადგენს დიდ
ღვაწლს ბურჟუაზიული ნაციონალიზმისას. თავისი
განვითარების პირველ ხანებში ბურჟუაზია იყო
რევოლუციონური ელემენტი, ამიტომ ამ დროს
ბურჟუაზიული ნაციონალიზმი რევოლუციონური
იდეია იყო; მან გააღვიძა ერის სხვა და სხვა ნა-
წილთა შორის ეროვნული შეგნება, მან დაუკავ-
შირა მჭიდროდ ერის სხვა და სხვა ნაწილები ერთი
მეორეს, მან მოსპო ფეოდალური ურთიერთობა და
გააუქმა ერის სხვა და სხვა ნაწილთა კარჩაკეტილი
ცხოვრება,—ერთი სიტყვით ბურჟუაზიულმა ნა-
ციონალიზმა შევქმნა ნამდეილი ეროვნული სამე-
ფო და ააშენა ეს სამეფო მტკიცე საძირკველზე,
რომელსაც მოკლებული იყვნენ ძველი არისტოკრა-
ტიული სახელმწიფოები. ეს საძირკველია — **ეროვ-
ნული გათვითცნობიერება ეპონომიურს ნია-
დაზე.** თუ არისტოკრატიული ნაციონალიზმის მე-
ფობის დროს ერთი კუთხის გლეხი მეორე კუთხი-
სას ერთსა და იმავე ერში ან მტრულად უყურებდა,
ან „უცხოდ“ მიაჩნდა, ბურჟუაზიულმა ნაციონა-
ლიზმა ორივეს განუვითარა ის შეგნება, რომ ისი-
ნი ერთსა და იმავე ერს ეკუთვნიან. თუ რამდენად
პროგრესიული იყო ამ დროს ბურჟუაზიული ნა-
ციონალიზმი, იქიდანაც ცხადად მტკიცდება, რომ

პროლეტარიატი და ბურჟუაზია ხელი-ხელს ჩაი-
დებული იბრძოდენ ერთად ბურჟუაზულ ნაციონა-
ლიზმის დროშის ქვეშ ფეოდალური ურთიერთო-
ბისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ. ხოლო როდე-
საც ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, მისი ნაციონალიზმიც
სწორედ მაშინ შეტრიალდა, ბურჟუაზიის ინტერესი
გამოაცხადა მთელი ერის ინტერესებად, ერის ინ-
ტერესების სახელით ის სულს ართმევდა და ართ-
მეეს მუშა ხალხს, ერის კეთილდღეობის სახელით
მან მოითხოვა დიდი ბაჟები, რაც ბურჟუაზიას ჯი-
ბებს უსქელებდა და ხალხს კი ტყავს აძრობდა,
ერის კეთილდღეობის სახელით მან დათესა ეროვ-
ნული მტრობა და ეროვნული ინტერესების სახე-
ლით ააგრიალა. თოფზარბაზნები. ჯარი შესდგება
ხალხის შეილებისაგან; ხალხი სისხლსა ღვრის,
ბურჟუაზია კი ჯიბებს ისქელებს და ყოველივე ეს
ხდება ნაციონალიზმის სახელით! ამგვარად ბურ-
ჟუაზიულმა ნაციონალიზმმა დაიწყო პროგრესით
და ათავებს რეაქციით. ის ნაციონალიზმი, რო-
მელსაც ქადაგებენ არისტოკრატია, ბურჟუაზია და
მათი იდეოლოგები, ნაციონალიზმი კი არ არის,
საცინლად აგდებაა ნაციონალიზმისა, აბუჩად აგდებაა
ერის ინტერესებისა და ეროვნებისა. ხალხის უმრა-
ვლესობა პროლეტარიატი და მათი იდეოლოგები
ყოველთვის მტერი უნდა იყოს ამგვარი ნაციონა-
ლიზმისა.—არისტოკრატიულ ნაციონალიზმს არის-
ტოკრატიის ინტერესები გამოჰქონდა ნაციონალურ

ინტერესებად, რომელსაც მსხვერპლად სწირავდა. მთელი ერის კეთილდღეობას და ერთა ფეხქვეშ გათელვას ლამოდა. ბურუუზიული ნაციონალიზმი ბურუუზის ინტერესებს ასაღებს მთელი ერის ინტერესებად და თავის კეთილდღეობას ეროვნებათა განადგურებაზე და მოსკობის პოლიტიკაზე აშენებს. პროლეტარული ნაციონალიზმი კი სრული წინა-ოლმდევობაა არისტოკრატულ-ბურუუზულ ნაცი-ონალიზმისა.

პროლეტარულ ნაციონალიზმს ეროვნულ ინტერესებად მიაჩნია ხალხის ანუ ერის უმრავლესობის ინტერესები. რაღანაც ერის უმრავლესობა ყველგან გაყვლეფილი და დაჩარულია, ამიტომ ყველა ერის უმრავლესობის ინტერესები ერთი და იგივეა, და პროლეტარული ნაციონალიზმი ცდილობს ყველა დაჩარულთა შეერთებას, დაჩარული ერების, დაჩარული კაცობრიობის განსათავისუფლებლად, ახალი სოციალური ურთიერთობის დამყარებას ნაცვლად დღევანდელი ნაციონალური და ერთი მეორის წინააღმდეგ შეიარაღებული სახელმწიფოებისა. ყველა ერები სოციალიზმის ნიადაგზე ერთმანეთს უნდა დაუკავშირდენ ისე, რომ ყოველი ერი თავისუფალ და სხვებთან თანასწორის უფლებით შეკრულს ერთეულს წარმოადგენდეს, — ია რას ემსახურება პროლეტარული ნაციონალიზმი. /

პროლეტარიატმა კარგად იცის, რომ ხალხის ინტერესები ყველგან ერთი და იგივეა, მთელი

დედა-მიწის ზურგზე ყველა ეროვნების ხალხთა
შორის ინტერესთა სრული სოლიდარობა არსებობს,
მტრობასა და ეროვნულ სისხლის ღვრას არავითარი
ალაგი არა აქვს; პროლეტარიატმა კარგად იცის,
რომ სხვა და სხვა ეროვნების ბურჟუაზიათა უორის
არსებობს მხოლოდ ინტერესთა სხვა და სხვაობა,
და რადგანაც პოლიტიკური ძალა დღეს ბურჟუ-
აზიის ხელშია, ბურჟუაზია სთესაგს მტრობას და
ღვრის ხალხის სისხლს. ამიტომ როცა ბურჟუაზია
დაპკარგავს პოლიტიკურ უფლებას და ყველგან
ერის ცხოვრებას თვითონ ხალხი ჩაუდევბა სათავეში,
დღევანდელი ნაციონალიზმიც მოისპობა, წაიშლება
სამზღვრები დღევანდელი ეროვნული სახელმწი-
ფოებისა, ყველა ერები, რომელიც კი პროლეტა-
რიატის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწი-
ლეობას მიიღებს, ერთად შეერთდებიან, ერთნაი-
რად მოაწყობენ თავის ცხოვრებას და დღევანდელ
მტრობის ნაცვლად მათ შორის სრული ეკინო-
მიური, პოლიტიკური და საერთაშორის თანასწო-
რობა და მშვიდობიანობა დამყარდება: ყველა ისინი
გახდებიან ერთი დიდი ოჯახის თანასწორ წვერე-
ბათ, — ყოველი ეროვნების არსებობა, კეთილდღე-
ობა და პროგრესი მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნ-
ველ-ყოფილი. — აი ეს როლი დააკისრა ისტო-
რიულმა განვითარებამ პროლეტარიატს, ამ როლის
შესრულებაში გამოიხატება პროლეტარული ნა-
ციონალიზმი, ბურჟუაზიამ შევქმნა ისეთი პირობები,

საცა ეროვნული ბრძოლა და ერთი ერისაგან მეო-
რის ჩაყლაპვა აუცილებელია, და ამას უწოდებენ
ნაციონალიზმს. პროლეტარიატი სპობს ამ პირო-
ბებს და ჰქმის ისეთ საერთო ნიადაგს, საცა ეროვ-
ნული ბრძოლა შეუძლებელი იქნება, ერთი ერი-
საგან მეორის დაჩავრა მოუხერხებელი და ამით
ყოველი ერის არსებობა ყოველგვარ საფრთხეს მო-
ცილებული.—ამას ზოგიერთი გულუბრყვილონი
ეროვნების უარყოფას უწოდებენ! იმგვარ სოცი-
ალურ წყობილებაში, რომელსაც პროლეტარიატი
ახორციელებს, შესაძლებელია, რომ რამდენიმე
ენამ ან ერთმა ყველა დანარჩენს აჯობოს საერთა-
შორისო ურთიერთობაში; უპირატესობით აღკურ-
ვილი ენა მაშინ თან და თან განდევნის ხმარები-
ლან ძხვა ენებს; ამგვარად ენების რიცხვი შესაძლე-
ბელია ძილიან შემცირდეს, შესაძლებელია კულ-
ტურულმა კაცობრიობამ ბოლოს და ბოლოს ერთ
ენაზე დაიწყოს ლაპარაკი, ხოლო ეს იქნება შე-
დევგი მშვიდობიანი განვითარებისა და არა ძალ-
მომრეობისა და ძალადობით გარესებისა, გაინგლი-
სელებისა, გაგერმანიელებისა და სხვ., რაც დღეს
ხდება ჩვენი ოვალის წინ. პროლეტარიატი ყო-
ველთვის მტერი უნდა იყოს ყოველგვარი ძალადო-
ბისა და ძალმომრეობისა, ხოლო რასაც თვით კულტუ-
რული განვითარება შემოიტანს, იმას პროლეტარი-
ატი წინ არ გადაელობება, თუნდა მარტო იმ მოსაზ-
რებით, რომ პროგრესს თავისი კანონები აქვს და

21
ო ეროვნული ბრძოლა
და გადაელობება
თვით კულტურული
განვითარება
შემოიტანს
მარტო იმ მოსაზ-
რებით
პროგრესს
თავისი კანონები
აქვს და

მის მსვლელობას ცერავან ვერ შეაჩერებს, რაც უნდა
წინ გადაეღობოს.

მოკლედ თვალი გადავალოთ საქართველოს
ცხოვრებას. უძველეს დროს, კაცობრიობის ისტო-
რიული ცხოვრების პირველ ხანებში, საქართველო
წარმოადგენდა კულტურულ ერს; როგორც თავისი
წარმატებით, ისე რიცხვით ქართველობას საპატიო
ალაგი ეჭირა აღმოსავლეთის კულტურულ ერთა
შორის. ეჭვს გარეშეა, ის ქართველი თემები, რომ-
ლებიც სცხოვრობდნენ მცირე აზიაში შავი ზღვის
ნაპირზე, გარეშე მტრებთან ბრძოლაშ შეართა ერთ
სახელმწიფოდ, მტრების მოწოდამ თან და თან და-
ახევინა ქართველობას და გაამაგრა ის იმ ალაგებში,
რომელშიაც მოუსწრო ქართველ ერს ისტორიაშ.
გარეშე მტრებთან ბრძოლაშ გამოიწვია საქართველო-
შიაც არისტროკრატია და ცენტრალური მმართვე-
ლობა. რადგანაც საქართველოს ბუნება ყოველ ნა-
ბიჯზე იცვლება და უწინდელ დროში სხვა და სხვა
კუთხეებს შორის მიმოსელა ძნელი იყო, ამიტომ
სხვა და სხვა თემთა შორის დიდხანს არავითარი
კავშირი არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ ისინი
ერთ მთავრობას ემორჩილებოდნენ. ქართველობას
ერთი მხრით მეზობლობა ჰქონდა ძველ კულტუ-
რულ ერებთან; მეორე მხრით მას თავს ეცემოდნენ
ხშირად ბარბაროსები; ზღვის სიახლოვემ, დიდმა
მდინარეებმა და ბუნებრივმა სიმდიდრემ საქართვე-
ლოში ადრე ააღმოჩნდინა აღებ-მიცემობა; აქედამ

შიდიოდა სავაჭრო გზები ასურეთში, ბაბილონში, ფინიკიაში, საბერძნეთის ახალშენებში, ინდოეთში, სპარსეთში. ერთი მხრით ამგვარმა აღებ-მიცემობამ და მეორე მხრით ბარბაროსთა ხშირმა შემსევამ ხელი შეუწყეს ქართველთა შორის ეროვნული იდეის განვითარებას, და სანამ საქართველო ეკონომიკური ძლიერი იყო, ეროვნული შეგნებაც ძლიერი იყო ქართველ ერში. ძველი აღმოსავლეთი თან და თან დაეცა, ვაჭრობამ საქართველოში იყო, მტრების შემოსევამ იმატა და ბოლოს საქართველო თან და თან დაუძლურდა: ეკონომიკურმა დაქვეითებამ გამოიწვია ეროვნული გრძნობის დასუსტებაც. მტრის შემოსევის დროს კიდევ იყო ხოლმე (ისიც ყოველთვის არა) ქართველებში ერთობა, სხვა დროს კი სრული კარჩაკეტილობა და უბნური ნაციონალიზმი მეფებდა. ბატონყმობის განვითარების დროს თავი იჩინა არისტოკრატული ნაციონალიზმის გამხრწნელმა მხარემ, საქართველო დაქუცმაცდა რამდენიმე სამეფოთა და სამთავროდ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, და მასაქთ ასტყდა ძმისაგან ძმის სისხლის ღვრა. ამ სისხლის ღვრამ მოუღო საქართველოს ბოლო. ამგვარად ეროვნული თვითცნობიერება უძველეს დროს აღორძინდა საქართველოში ძველ აღებ-მიცემობის წყალობით, ხოლო დაეცა თუ არა საქართველო ეკონომიკურად, ეროვნული თვითცნობიერებაც დაიკარგა, ქართველი ერი დანაწილდა და ამ დანაწილდა სავაჭრო გზები ასურეთში, ბაბილონში, ფინიკიაში, საბერძნეთის ახალშენებში, ინდოეთში, სპარსეთში. ერთი მხრით ამგვარმა აღებ-მიცემობამ და მეორე მხრით ბარბაროსთა ხშირმა შემსევამ ხელი შეუწყეს ქართველთა შორის ეროვნული იდეის განვითარებას, და სანამ საქართველო ეკონომიკური ძლიერი იყო ქართველ ერში. ძველი აღმოსავლეთი თან და თან დაეცა, ვაჭრობამ საქართველოში იყო, მტრების შემოსევამ იმატა და ბოლოს საქართველო თან და თან დაუძლურდა: ეკონომიკურმა დაქვეითებამ გამოიწვია ეროვნული გრძნობის დასუსტებაც. მტრის შემოსევის დროს კიდევ იყო ხოლმე (ისიც ყოველთვის არა) ქართველებში ერთობა, სხვა დროს კი სრული კარჩაკეტილობა და უბნური ნაციონალიზმი მეფებდა. ბატონყმობის განვითარების დროს თავი იჩინა არისტოკრატული ნაციონალიზმის გამხრწნელმა მხარემ, საქართველო დაქუცმაცდა რამდენიმე სამეფოთა და სამთავროდ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, და მასაქთ ასტყდა ძმისაგან ძმის სისხლის ღვრა. ამ სისხლის ღვრამ მოუღო საქართველოს ბოლო. ამგვარად ეროვნული თვითცნობიერება უძველეს დროს აღორძინდა საქართველოში ძველ აღებ-მიცემობის წყალობით, ხოლო დაეცა თუ არა საქართველო ეკონომიკურად, ეროვნული თვითცნობიერებაც დაიკარგა, ქართველი ერი დანაწილდა და ამ დანაწილდა

ლებას თუ ხელი შეუწყო გარეშე მტერმა, სამაგი-
ეროდ ეკონომიური დასუსტებით გამოწვეულმა
ეროვნულმა განაწილებამ თვითონ შეუწყო ხელი
გარეშე მტრის ძლევამოსილებას, რადგანაც გაე-
რთიანებული საქართველოს ძლევა უფრო ძნელი
იყო, ვიდრე განაწილებულისა. მთელი ჩვენი ისტო-
რია არის ისტორია არისტოკრატიულ ნაციონალი-
ზმისა, რომლის წყალობითაც ქართველი, იმერელი,
შეგრელი, რაჭველი, გურული, სვანი, კახელი და
სხვა, ვერავითარ ნათესაობას ვერ ხედავდნენ ერთმა-
ნეთში. არისტოკრატიული ნაციონალიზმი დღემდის
ძლიერი იყო ჩვენში, მის ნიმუშებს ყოველ ნაბიჯზე
იძლევა ჩვენი ცხოვრება და ჩვენი მწერლობა; პო-
ეზია ხომ თოხმოციან წლამდე არისტოკრატიული
ნაციონალიზმის გამომხატველი იყო უმთავრესად.
ამ ათი წლის წინედ მეგრელისათვის რომ გეთქათ:
„ქორთუ“ ხარო, დიდ შეურაცყოფად მიიღებდა;
იმერელს ქართველის პატივის ცემა არა ჰქონდა,
ქართველს იმერლისა. ნამდვილი ეროვნული თვით-
ცნობიერება სამოციანი წლებიდან აღორძინდა ჩვენ-
ში და მას აქეთ დღითი დღე იზრდება. დღეს ჩვენი
გლეხი ყველგან იმსჭვალება იმ აზრით, რომ ის ქა-
რთველია, რომ იმერელი, რაჭველი, შეგრელი, გუ-
რული კახელი, სვანი, ქართლელი და სხვ. ყველა ქა-
რთველები არიან. ჩამ გამოიწვია ამგვარი ეროვნუ-
ლი თვითცნობიერება? კაპიტალისტურმა წარმოებამ.
ჩვენში ეროვნული კაპიტალი სულ ბოლო ხანებში

დაიბადა; წარმოების ახალი ხანა კი ჩვენში დაიწყო
უცხო კაპიტალმა: საზღვარგარეთელმა, რუსულმა
და სომხურმა. ამიტომ ცხოვრების ასპარეზზე ქა-
რთველ ბურჟუაზიაზე უმაღლ ქართველი მუშა ხალ-
ხი, ქართველი პროლეტარიატი გამოვიდა და ახალმა
ელემენტებმა შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში ქართვე-
ლების გაერთიანება, ეროვნული გათვითცნობიერე-
ბა; ქართველი მუშა ხალხი მოედვა საქართველოს
სხეა და სხნა კუთხეს და აუწყა ქართველ ხალხს:
ჩვენ ყველანი ძმები გართ, ერთი ერის შეილებით.
ქართველმა მუშა ხალხმა გაპფანტა ძველი ფეოდალუ-
რი კარჩაკეტილობა ჩვენში, ქართველმა მუშა ხალ-
ხმა მოახდინა ჩვენში ეროვნული გათვითცნობიერე-
ბა (რასაც ხელი შეუწყო რასაკვირველია ჩვენმა მწე-
რლობამ). მაშინ, როდესაც სულ თხუთმეტიოდე
წლის წინედ ჩვენი არისტოკრატები თფილისში ზო-
გიერთ კრებებზე გაიძახოდნენ: დაიკარგეთ იმერლე-
ბო, თქვენთან რა გვაქვს საერთოვო, დღეს კი იგი-
ვე არისტოკრატები და მათი იდეოლოგები ქართველ
მუშებს უკიინებენ: თქვენ ეროვნების მტერი ხარ-
თო, და მათ ბანს აძლევენ ჩვენი მამლაყინწა ბუ-
რჟუები და მათი იდეოლოგები! პოი, საკვირვე-
ლებავ!

ამგვარად არისტოკრატიულ ნაციონალიზმს ჩვე-
ნში გვერდით ამოუდგა პროლეტარული ნაციონა-
ლიზმი. ბურჟუაზია ჩვენში სულ ახალი დროის ნა-
ყოფია, ის მუშა ხალხის შემდეგ გამოვიდა ცხო-

ვრების ასპარაზე და წინ წამოაყენა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

ევროპაში ბურჟუაზია პირველ ხანებში რევოლუციონური იყო და მან ხელი შეუწვო ეროვნულ გაერთიანებას. ჩვენში კი ჩვენს ბურჟუაზიას ეს როლიც არ აკისრა ისტორიულმა განვითარებამ და ის პირდაპირ ეროვნულ ცარცვა-ყვლეფის სკამზე და-ასკუპა. ჩვენში თავისუფალ მუშა ხელს თავდაპირვე-ლად მუშტრად უცხო ბურჟუაზია დაუხვდა; ამიტომ ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების განვითარება-ში სწორედ ამ უცხო ბურჟუაზიას, და არა ჩვენსას მიუძღვის არა პირდაპირ ღვაწლი და ეს არც ისე დაუჯერებელია, როგორც ბეჭრს ეჩვენება. საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური წარმოება, როგორც უკვე დავინახეთ, აუცილებლად ითხოვს ფეოდალური წყობილების, ფეოდალური იდეოლოგიის დარღვევას და ეროვნულ გაერთიანებას—ერთი მხრით მუშა ხელის მოსაპოებლად, მეორე მხრით შინაური ბაზრის შესაქმნელად. ეს წარმოება კი ჩვენში და-იწყო უცხო ბურჟუაზიამ; ქართველი ბურჟუაზია კი შემდეგ გამოვიდა ცხოვრების ასპარაზზე, უკვე გაერთიანებული ერის გასაყვლეფად.

ევროპის ბურჟუაზიასთან შედარებით ჩვენს ბურჟუაზიას არავითარი ეროვნული შრომა არ დასჭირებია; ევროპის ბურჟუაზიამ ჯერ გააერთიანა თავ თავისი ერები, შემდეგ შეუდგა მათს გაყვლეფას, და როცა თავისი ერი აღარ ეყო, სხვებს წაეპოტინა.

გასაყვლეფად. ჩვენ ბურუუაზიას კი ჩვენმა მუშა ხალ-
ხმა მზათ მიართვა გაერთიანებული ერი; ბურუუაზია-
მაც გალესა დანა და დაუწყო ერს თლა! თუმცა
ჯერ მცირეწლოვანია ჩვენი ბურუუაზია, მაგრამ მა-
და. დიდი აქვს: თავისი მაღის დასაკმაყოფილებლად
მან წამოაყენა ბურუუაზიული ნაციონალიზმი, რო-
მლის მოძღვრებითაც ქართველმა ხალხმა უნდა ხმა
ამოუღებლად ათლევინოს თავისი გვერდები ქართ-
ველ ბურუუაზიას, რადგანაც ამას ითხოვს თურმე
ეროვნული წარმოება და ეროვნული კეთილდღეობა!!
ჩვენი ბურუუაზია ეხლა და ეხლა ახლო მახლო ერე-
ბის თახებშიაც იხედება და ნერწყვი მოსდის პირში.
ამგვარად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნია-
დაგზე დღეს ერთმანეთს ებრძვიან არისტოკრატი-
ული ნაციონალიზმი, ბურუუაზიული და პროლე-
ტარიული.

რადგანაც ქართველი პროლეტარი შიშა ჰევრის
ჩიენს არისტოკრატიას, ბურუუაზიას და მის იდეოლო-
გებს, რადგანაც ჩვენი პროლეტარებისა და მათი იდეო-
ლოგების დანახვაზე კეთილმორწმუნე, ზნეობით მა-
ლალი და ერისთვის თავდადებული ჩვენი არისტო-
კრატია, ბურუუიზია და მათი დამქაშები პირს მი-
იბრუნებენ ხოლმე და ეშმაკს აფურთხებენ: ფუი,
ეშმაკს, ამიტომ ბურუუაზიული და არისტოკრატი-
ული ნაციონალიზმი ერთად შეერთდნენ პროლეტა-
რიული ნაციონალიზმის დასამარცხებლად. ბურუუა-
ზიულმა ნაციონალიზმა ამგვარად მომაკვდავი აიკი-

და ზურგზე, რადგანაც არისტოკრატიული ნაციონალიზმის დღეები დიდი ხანია დათვლილია და ბრწყინვალე წოდებას გლოვის და „ფური ეშმაკო-“ს ძახილის მეტი აღარაფერი დარჩენია. ჩვენი ბურჟუაზია ისე ვერ შეაჩერებს ჩვენი პროლეტარიატის ძლევა-მოსილ მსვლელობას, როგორც ევროპის ბურჟუაზიამ ვერ მოახერხა ეს, და რაც უფრო გამარჯვებს ჩვენი პროლეტარიატი, მით უფრო დამარცხდება ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, მით უფრო გამარჯვებს პროლეტარიული შეხედულობა ეროვნებაზე. ეროვნული დამოუკიდებლობა, საზოგადოდ, ერთა კავშირი საერთო წარმოების ნიადაგზე, სრული ეკონომიური, იურიდიული და პოლიტიკური თანასწორობა როგორც ერში, ისე ერთა შორის, კლასთა გაუქმება და ხალხის ჩადგომა ერის ცხოვრების სათავეში, აი ქართველი პროლეტარიატის ეროვნული შეხედულობა.

არისტოკრატიული და ბურჟუაზიული ნაციონალისტები იცავენ მხოლოდ თავის ერის დამოუკიდებლობას და ამავე დროს სრულებით არაფერი არა აქვთ საწინააღმდეგო სხვა ერების დაპყრობისა და მათი ძალატანებით გადაგვარებისა; თავის ერშიკი ისინი იცავენ მხოლოდ უმცირესობის—არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის—ინტერესებს და ხალხის კეთილდღეობას კი ფეხქვეშ სთელავენ ნაციონალიზმის სახელით. ჩვენ,—სოციალდემოკრატები—პატივს ვცემთ ცველა ერის თავისუფლებას და ვეწინააღმდე-

ჩვენ
ჩვა
უკურნა
ზოგადი

??!!

გებით ერთი ერისაგან მეორის დაჩაგვრასა და და-
პყრობას. ჩვენს საკუთარ ერში ჩვენ ვემსახურებით
მხოლოთ ხალხის ანუ ერის უმრავლესობის კეთილ-
დღეობას და ნაციონალურ ინტერესად მიგვაჩნია
მხოლოდ ხალხის ინტერესები და არა არის ტოკრა-
ტიის ან ბურუუზიისა.

*მზადებული
ია?!*

დღევანდელ ევროპის სახელმწიფოთა ნაციო-
ნალიზმი წარმოადგენს ბურუუზიულ ნაციონალიზმს.
ბურუუზიული ნაციონალიზმი იცავს მხოლოდ თა-
ვისი ერის დამოუკიდებლობას; რაც შეეხება სხვა
ერებს, აქ ბურუუზიული ნაციონალიზმი მიისწრა-
ფის სხვის თავისუფლების მოსპობისაკენ, სხვა ერთა
დაპყრობისაკენ. „ჩემი თავისუფლება, შენი განა-
დგურება,“ აი რა აწერია ბურუუზიული ნაციო-
ნალიზმის ღრმაშაზე. მგვარად ბურუუზიულ ნაციო-
ნალიზმს ორი თავი ჰქვს და ორ გვარი სამართალი;
თუ რისთვის ითხოვს ბურუუზიული ნაციონალიზმი
უცხო ეროვნებათა დამონებას, ეს ჩვენ უკვე განვ-
მარტეთ ზემოთ, ხოლო საქმე იმაშია, ერთნაირად
ექცევა გაბატონებული ერის ბურუუზია თავის სა-
კუთარ ერს და დაპყრობილ ერსაც თუ არა. მო-
გეხსენებათ, ბურუუზია რჩება მუშების ყვლეფით.
ბურუუზიის სიძლიდრეს, კეთილდღეობას სარჩულად
უდევს მუშა ხალხის ყვლეფა. თუ ბურუუზია ცდი-
ლობს უცხო ერთა დამონებას, მხოლოდ იმიტომ, რომ
ეს უცხო ერებიც გაყვლითოს, მაგრამ საქმე იმაშია,
უცხო ერსაც იმგვარადვე ჰყვლეფაც გაბატონებული

ერის ბურჯუაზია, როგორც თავის საკუთარს თუ არა. მთელი ევროპის დღევანდელი მდგომარეობა გვიმტკიცებს, რომ ბურჯუაზია თავისი ერის უმრავლესობას ეკონომიურად ჰყვლეფავს, ხოლო დამონებული ერის უმრავლესობას არა თუ ჰყვლეფავს მარტო, იმის გადაგვარებას, ეროვნულად მოსპობას ცდილობს სხვა და სხვა საშუალებით და ღონისძიებით. რათ ცდილობს გაბატონებული ბურჯუაზია და მისი მთავრობა დამონებული ერის ეროვნულად გადაგვარებას და ეროვნულად მოსპობას? რა ინტერესებს იცავს ის ამით? ამით ბურჯუაზია იცავს თავის საკუთარ კლასობრივ ინტერესს. გადაგვარების პოლიტიკა მარტო ბურჯუაზიულ მთავრობას არ ეკუთვნის, — ის პირმშო შვილია არისტოკრატიული მთავრობისა. არისტოკრატიული მთავრობა იმონავებს ანუ იპყრობს სხვა ერს შემოსავლის გულისათვის; დამონებული ერის მიმართ ის მიტომ ხმარობს ყოველგვარ რეპრესიებს, რომ ამგვარი ღონისძიებით ჩაუქმოს მას განთავისუფლების სურვილი და შიშით მუდამ მორჩილებაში იყოლის; მეორე მხრით ყოველი არისტოკრატიული მთავრობა ცდილობს, დამონებული ერი დაუახლოების, დაუკავშიროს თავისას ე. ი. გაბატონებულ ერს, რომ ამგვარი დაკავშირებით მასში შეასუსტოს ეროვნული გრძნობა. რადგანაც არისტოკრატიულმა მთავრობამ კარგად იცის, რომ ენა უძლიერესი საშუალებაა ერთა შორის დაახლოებისა, ამიტომ ცდილობს ის დამონებული ერის გადაგვარებას. სწორ

რედ ამ გზას ადგია ყოველი ბურჟუაზული მთავრობაც. ბურჟუაზიის ღმერთია ზეღმეტი ღირებულება, რომლის გულისთვისაც ის შეუწყვეტლად ამზადებს საქონელს; საქონელი ბაზარს ითხოვს და ბურჟუაზული მთავრობაც სწორედ ამ ბაზრის გაფართოების გულისათვის იმონავებს ამა თუ იმ ერს; მას მხოლოდ ბაზარი უნდოდა, და რომ ეს ბაზარი არ დაჰკარგოს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დამონებულ ერში განთავისუფლების სურვილი ამოშალოს; მეორე შერიდ მან კარვათ იცის, რომ საერთო ენა ფრიად უწყობს ხელს როგორც ბაზრის სიმტკიცეს, ისე აღებ-მიცემობას და ამიტომ ანგარებით გატაცებული ბურჟუაზული მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ დამონებული ერი გადააგვაროს; ამ მიზნით ის სდევნის ყოველივეს, რასაც კი ეროვნული სახე აქვს; სამშობლო ენას აძევებს სასწავლებლიდან, ეკლესიიდან, სასამართლოდან და სხვ. ავიწროვებს სამშობლო ლიტერატურას, ზოგადას ეროვნულ თვით-მოქმედებას, ეროვნულ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და სხვ. გაბატონებული ბურჟუაზიის მიზანია, რომ დამონავებული ერის უმრავლესობა მუდამ მას ჰყავდეს ხელში საყვლეფად, ამისათვის საჭიროა ყოველგვარი შევიწროება თვით გადაგვარების პოლიტიკამდე. თუ მაგალითად ქართველი ერი გადაგვარდა, გარუსდა, თავისთვად ცხიდია, რომ ამით მასში ჩაქრება ყოველგვარი ეროვნული მისწრაფება, ყოველგვარი სურვილი დამო-

უკიდებლობისა და მუდამ რუსის ბურუუაზისა და
ბიუროკრატის ყვლეფის საგნად იქნება. ერთი სი-
ტყვით ყვლეფის რაც შეიძლება გახანგრძლივება
და გამარაღისება ითხოვს გადაგვარების პოლიტიკას
და ეროვნულ დევნას.

ყოველივე ამას პროლეტარიატმა არა თუ
ყურადღება უნდა მიაქციოს, — ის ვალდებულია; შე-
ებრძოლოს და მედგრათაც შეებრძოლოს ბურუუ-
ზიულ-ბიუროკრატიულ პოლიტიკას ეროვნულ კი-
თხვაში. დავანებოთ თავი სამშობლო ინტერესების
ხსენებას, — თვით პროლეტარიატის ინტერესი ით-
ხოვს, რომ ის ეროვნულ დევნასა და გადაგვარე-
ბას წინაღუდეს მთელი თავისი ძალაონით და ავტო-
რიტეტით. რა საბუთით? იყითხავს ბეკრი. საბუთი
ბეკრია; მათ შორის მე დავასახელებ მხოლოთ ორს.
პირველი ის, რომ ეროვნული დევნა აფერხებს პრო-
ლეტარიატის კლასობრივ შეგნებას და ამით წინ
ელობება კლასთა ბრძოლის განვითარებას, გართუ-
ლებას და გალრმავებას, რაიც ადვილი ვასაგებია.
საქმე იმაშია, რომ ეროვნული დევნისა და შევი-
წროების ტაფაში, დამონებული ერის პროლეტა-
რიატთან ერთად, იწვის დამონებული ერის ბურუუ-
ზიაც; საერთო ჭირვარამი სძალავს ამ ორ მოპირდა-
პირე კლასთა შორის ერთი მხრით ერთგვარ თა-
ნაგრძნობას და სოლიდარობას, რაც პროლეტარიატს
თვალებს უხვევს, შეგნებას უბნელებს; მეორე მხრით

ამგვარ მდგომარეობაში პროლეტარიატს ავიწყდება თავისი კლასობრივი მდგომარეობა, ან ვეღარ იგნებს, ვეღარ ითვალისწინებს ნათლად ამ მდგომარეობას; ის ვეღარ არ კვევს თავის პირდიპირ მტერს—ბურჟუაზიას და მთელ უურადლებას გარეშე მთავრობას აქცევს. ორსავე შემთხვევაში პროლეტარიული შეგნებაც ფერხდება და მასთან ერთად კლასობრივი ბრძოლაც. ამის საუცხოვო მიგალითს წარმოადგენს სომხის პროლეტარი ჩვენში; პოლიტიკური მდგომარეობისა გამო სომხის პროლეტარი თავის ბურჟუაზიაში ჰქედავს მეგობარს, მასთან ერთად გატაცებულია შოვინისტური აზრებით და გარდა მცირენაწილისა, რომლის გამოღვიძებაშიც ისევ ქართველ მუშებს და ქართველ სოციალდემოკრატებს მიუღვის სამსახური, სომხის პროლეტარიატს ჯერაც ვერ შეუგნია, რომ სომხის ბურჟუაზია მისი მტერია და არა მოყვარე.

მეორე საბუთი მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატი ერის ნაწილია და ამიტომ ეროვნული დევნა მასაც სჩაგრავს, ეროვნული შევიწროება მასაც ავიწროებს. ეროვნული ენა, ეროვნული სკოლა, ეროვნული სასამართლო, ეროვნული პრესსა, ლიტერატურა და სხვ. არავისთვის არ არის იმდენათ საჭირო, რამდენიდაც თვით პროლეტარიატისათვის და დაჩაგრული გლეხობისათვის. ამიტომ პროლეტარიატი, რომელსაც კი ესმის თავისი კლასობრივი ინტერესები და რომელიც ჰეშმარიტი ქომა-

გია ერის დაჩაგრული უმრავლესობისა, მუდამ უნდა ებრძოდეს ეროვნულ დევნას და გადაგვარებას. დღეს რუსეთში არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული მთავრობის აღაგს ბრძოლით იკავებს ბურჟუაზიული მთავრობა. ნურავინ ნუ იფიქრებს, ვითომ რუსეთის ახალი ბურჟუაზიული მთავრობა ჩვენს ეროვნულ დევნაზე ხელს აიღებდეს,—პირიქით ბურჟუაზია უფრო მეტი მოტრუიალეა ეროვნული დევნისა, ვიდრე არისტოკრატია, და თუ ჩვენმა პროლეტარიატმა არ ისარგებლა ამ რევოლუციის ხანათი და, სანამ რუსეთში ბურჟუაზია ჯერ არ გაბატონებულა, არ ჩამოართვა მას გარანტია ეროვნული დევნის მოსპობისა, ეს ისეთი სიბრძოვე იქნება, რომელსაც მას ისტორია არასოდეს არ აპატიებს, ან რა ისტორია? —თვითონ არ აპატიებს თავის თავს.

აქედან თავის თავად ცხადია, რომ გარდა საერთო საქმისა ჩვენს პროლეტარიატს ისეთი კითხვა აქვს გადასაწყვეტი, რისთვისაც იმის ამხანაგს—რუსეთის პროლეტარიატს—თავის მტკრევა არ სჭირდება; გარდა საერთო მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებისა ჩვენმა პროლეტარიატმა უნდა მოსპოს ჩვენი ეროვნული დევნა და მოიპოვოს შინაური ცხოვრების იმგვარი პირობანი, რომ ჩვენი ეროვნული განვითარება დაუბრკოლებლად და შეუფერხებლად სწარმოებდეს. მეტყველ: რაკი სხვა და სხვა მოქალაქეობრივსა და პოლიტიკურ თავისუფლებას მოვიპოვებთ, ეროვნულ დევნას აღაგი იღარ ექნე-

დებული
მარტ
ჩერებ
ჩერებ?
ცხვა
რა
მარტ?

ბაო. ამგვარი შეხედულობა და იმედი ფრიად შე-
მცდარი შეხედულობაა და ფრიად უნიადაგო იშედი.
ლიბერალური წყობილება, ლიბერალური მთავრო-
ბა, თავისთავად არავითარ გარანტიას არ წარმო-
დგენს ეროვნული დევნის და შევიწროების მოსპო-
ბისათვის; საჭიროა ლიბერალურ წყობილებასთან
ერთათ ყოველმა დამონქაბულმა ერმა ისეთი ფორმა
მოიპოვოს შინაური თავისუფლებისა, საცა ეროვნულ
დევნიასა და გადაგვარებას ალაგი აღარ ექნება.*
თავისთავად ცხადია, რომ ვერც ერთ ლიბერალურ და
დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვერავითარი ში-
ნაური თვითმართველობა ვერ გააუქმებს, ვერ მო-
ჰკვიას სრულიად ეროვნულ შევიწროებას, სანამ კლა-
სები და კლასთა ბრძოლა არსებობს, მაგრამ თუ
ეროვნული დევნის სრულიად მოსპობა არ შეიძლე-
ბა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მისი შესუსტე-
ბა, შეფერხებაც არ შეიძლებოდეს; თუ ეროვნული
დევნის სრულიად მოსპობისათვის ბრძოლა უნაყო-
ფოა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარი ერო-
ვნული დევნის შესუსტებისა და დაუძლურებისა-
თვის ბრძოლაც უნაყოფო იყოს, — ამგვარი ბრძოლა
ფრიად ნაყოფიერია, რის მაგალითებსაც იძლევა დღე-

*) დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოება თავისთავად
სწყვეტავს ეროვნულ კითხვასაც, მაგრამ დღეს ცხადია, რომ
დემოკრატიულ რესპუბლიკას განმათავისუფლებელი ბრძოლა
ვერ მისცემს ეხლა რუსეთს და აბსოლუტიზმს ამ ხანად მხო-
ლოდ ლიბერალურ-ბურკუაზიული მონარქია მოჰყება.

ვანდელი ევროპა, და ამიტომ ყოველი დამონებული ერის პროლეტარიატი ვალდებულია ყოველი ღონე იღონს, ეროვნული დევნისა და შევიწროების შესუსტებისა და დაუძლურებისათვის. პროლეტარული, ნამდვილი სოციალდემოკრატიული შეხედულობა ითხოვს, რომ ეროვნულ განვითარებას ყველგან თავისუფალი გზა ჰქონდეს დათმობილ....
როგორც ზევით დავინახეთ, ხალხის უმრავლესობისათვის და პროლეტარიატისათვის ერთი და იგივე არ არის, დამოუკიდებელია ის ეროვნულათ. თუ არა. მართალია დამოუკიდებელი ერის ბურჟუაზიას იმგვარივე მადა აქვს, როგორც დამოკიდებული ერის ბურჟუაზიას, მაგრამ დიდი განსხვავება იმაში, რომ თავისუფალი ერის გაყვლეფილი უმრავლესობის გადაგვარებას და ეროვნულად მოსპობას საკუთარი ბურჟუაზია არა ცდილობს, მაშინ როდესაც დამონებული ერის უმრავლესობას არათუ ჰყვლეფენ, ეროვნულათაც სდევნიან, ავიწროებენ და სპობენ. ამიტომ პრინციპიალურად თუ შეეხედავთ ამ საკითხს, ყოველი ერის დაჩაგრული უმრავლესობა, რომელსაც კი უნდა დედა მიწის ზურგიდან არ აღიგავოს და მომავალ კეთილდღეობას ელირსოს, თავისთავის უფლებას უნდა იცავდეს, როცა დამოუკიდებელია. ხოლო თუ დამოკიდებულია, ეროვნულ დევნისა და გადაგვარებას უნდა ებრძოდეს. ყოველი ერის უმრავლესობა სოციალიზმში უნდა შევიდეს თავისი პიროვნებით—ეროვნული სახით და არა ნაძალადევად

გადაგვარებული. ეროვნული მოსპობა არის ორ გვა-
რი: ბუნებრივი და ძალმომრეობითი. მე მსწამი, რომ
სოციალიზმის მეფობის დროს სხვა და სხვა ერების
რიცხვი შემცირდება, შემცირდება ენების რიცხვიც,
ხოლო ეს მოხდება თავის თავად, ბუნებრივი კანონების,
ბუნებრივი განვითარების ზედგავლენით. ხოლო რო-
დესაც დამონქებულ ერში სდევნიან ყოველივე ეროვ-
ნულს, ამას ჰქვიან ძალმომრეობითი გადაგვარება; ამ-
გვარი ძალდატანებით გადაგვარებას პროლეტარიატი
მოელი თავისი არსებით უნდა ებრძოდეს, ეწინააღმდე-
გებოდეს, რაღანაც ამას არც ერთი გაყვლეფილისა და
ხალხის უმრავლესობის ინტერესი არ მოითხოვს, არა-
მედ მოითხოვს მხოლოდ გაბატონებული ერის ბურუუ-
ზის, არის ტოკრატიისა და მათი მთავრობის ინტერესე-
ბი. ყოველი მომხრე ერის გადაგვარებისა ამ ერის უმრა-
ვლესობის მტერია და დამცველია გაბატონებული
მთავრობის ინტერესებისა. აქედან ნურავინ ნუ გა-
მოიყვანს კერძოდ იმ დასკვნას, ვითომ მე ვურჩევდე
ჩვენს მუშა ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას
დღევანდელს პირობებში, — ამგვარი ბრძოლა დღეს
ჩვენი დალუპვა იქნება ყოველმხრივ. ქართველმა ბუ-
შა ხალხმა უნდა შეუფარდოს, შეუთანხმოს თავისი
მოქმედება რუსეთის პროლეტარიატის მოქმედებას;
ქართველმა მუშამ და გლეხმა რუსის მუშასა და გლეხ-
თან ერთად უნდა იბრძოლოს საერთო მტრის და-
სამხობად და საერთო კეთილდღეობის მოსაპოებლად,
მაგრამ ქართველ პროლეტარიატს უნდა ახსოვდეს

ქართველ
მოქმედება!

მუდაშ, რომ ის ვალდებულია წინაღუდგეს და შე-
ებრძოლოს თავის ეროვნულ დევნას მთავრობის მხრით
და იმგვარად მოაწყოს თავისი ერის შინაური ცხო-
ვრება, რომ ქართველი ერის ბუნებრივი განვითა-
რება უზრუნველ ყოფილი იყოს.

აკერა?
უზრუნ,
უფროა!!
საჭიროა!

სოციალიზმის დიად სამეფოში ქართველი ერი
თავისი საკუთარი სახით უნდა წარსდგეს და ჩვენი
პროლეტარიატი სოციალიზმის სამფლობელოში უნ-
და შევიდეს, როგორც საერთაშორისო პროლეტა-
რიული პარტიის ქართველი წევრი.

323.1
3661

„ს ხ ე მ ი ს“

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ი ს გ ა მ ღ ვ ე მ ა :


წიგნი	ფასი
1) ჯუზეპე გარიბალდი	10 კაპ.
2) დამფუძნებელი კრება	10 "
3) სამეცნიერო საუბარი	15 "
4) ეროვნული კიოხვა	12 "

მზადდება დასაბეჭდათ მეოთხე წიგნი

ვ ი ღ ჰ კ ე ლ ე მ ტ ე ლ ლ ი .

წიგნების საწყობი პეზილის რედაქციაშია, იქვე
შეიძლება ხელონაწერების მიტანა დასაბეჭდათ.

323:1
з 661



ФАСО 12 ЗЗ3.